# საპარლამენტო უმცირესობასთან პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გუშინდელმა შეხვედრამ აშკარა გახადა, რომ დამარცხებამ ნაციონალებს ჭკუა ვერ ასწავლა და გამარჯვებულ „ქართულ ოცნებასთან“ ისინი სულაც არ აპირებენ კონსტრუქციულ თანამშრომლობას!..


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი, 2012 წელი.

№205 (7081)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილი: რასაც ბიუჯეტი ვერ დააფინანსებს, იმ პროექტებს კანონიერი გზით დავაფინანსებთ

2



## რატომ ვერ უსვამს გია ხუხაშვილი მიხეილ სააკაშვილს დიაგნოზს?..

3

## ოცნების უძლეველობა

4

## საქართველოს დიდთა პოლიტიკაში არაფერი არ ესაქმება

5



## გია გვიჩიანის ახლართულ-ჩახლართული საქმე

რა კავშირი აქვთ გია გვიჩიანის დაკავებასთან ავთანდილ ჯორბენაძეს, ნიკა გილაურს, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილსა და ერეკლე კოდუას?

7



გია ჯოხთაბერიძე: „66 დღე არა გადასახადების გადაუხდელობის გამო, არამედ პირადად სააკაშვილის დავალებით ვიყავი დაპატიმრებული“

## მაჭავარიანს დაჰკითხავენ, ჭუტა წერეთელი, უშაძლოა, დააპატიმრონ

11

## უიჭური კავშირის ტყვეობაში

9



დრო გვიჩვენებს

# რასაც ბიუჯეტი ვერ დააფინანსებს, იმ პროექტებს კანონიერი გზით დავაფინანსებთ



**ბიძინა ივანიშვილი სოფლისა და დევნილთა დახმარების პროგრამების ამოქმედების კონკრეტულ ვადებს ვერ ასახელებს.**

**აღნიშნული საკითხებით საპარლამენტო უმცირესობის პრემიერმინისტრობის კანდიდატთან შეხვედრაზე გიორგი ღვინიაშვილი და ლევან ბეჟაშვილი დაინტერესდნენ.**

როგორც გიორგი ღვინიაშვილმა აღნიშნა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება იყო უფასო ხვნა-თესვა და ბაზრამდე მიტანაში დახმარება, თუმცა აღნიშნული დაპირება უმცირესობამ სამთავრობო პროგრამაში ვერ აღმოაჩინა.

მისივე განმარტებით, ამ კითხვაზე საკომიტეტო მოსმენაზეც პროგრამის ამოქმედების ვადებთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატისგანაც ბუნდოვანი პასუხები მიიღეს.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პროგრამა ძალიან სწრაფად ამოქმედდება.

— რაც შეეხება წყაროს, როდესაც ჩვენ სოფლის მეურნეობის მილიარდიან ფონდზე ვსაუბრობდით და არ გვქონდა რეალური წარმოდგენა ბიუჯეტის შემადგენლობაზე, მხედველობაში მქონდა დამატებითი წყაროები ბიუჯეტის გარეთ. ჩვენ შევისწავლით ბიუჯეტის რეალურ შესაძლებლობებს და რაც არ იქნება შესაძლებელი რომ დაფინანსდეს ბიუჯეტიდან, იმ პროექტებს კანონიერი გზით დავაფინანსებთ, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ლევან ბეჟაშვილი კი დევნილთა შემწეობის გაზრდის პერსპექტივითა და დაფინანსების წყაროებით დაინტერესდა.

კონკრეტული ვადები ბიძინა ივანიშვილმა ვერც ამ შემთხვევაში დაასახელა, თუმცა აღნიშნა, რომ დევნილების შემწეობა საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს.

— ნორმალურმა სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს დევნილებზე, რადგან ბოლო წლების განმავლობაში მათ ძალიან ბევრი სიმძიმე გადაიტანეს. მათი შემწეობა საარსებო მინიმუმზე არანაკლები უნდა იყოს. საქართველოში ეკონომიკა და საზოგადოება უნდა განვითარდეს ჰარმონიულად და გამორჩეულად არც ერთი ფენა არ უნდა ჩაითვალოს. თუმცა დევნილებზე დავუშვებთ გამონაკლისს და პრიორიტეტულად მოვახერხებთ მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**ბიძინა ივანიშვილი უმუშევრობის მხრივ გარდატეხას 3-4 წელიწადში ვარაუდობს, — ამის შესახებ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრისას მას შემდეგ განაცხადა, რაც ზურაბ მელიქიშვილი დაინტერესდა, რა რაოდენობის სამუშაო ადგილის შექმნას ვარაუდობს იგი მომდევნო 2-3 წელიწადში.**

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, დროის გამოკვეთას თავს არიდებს, რადგან ეს დამოკიდებულია ინვესტიციებზე.

— არ გამოვრიცხავ, ძალიან სწრაფად დაიწყოს ინვესტიციების განხორციელება საქართველოში. თუმცა ჯერ კითხვები არსებობს ჩვენს ეკონომიკურ სტაბილურობასთან, კონსტიტუციასთან, ჩვენს ურთიერთობასთან დაკავშირებით - როგორც მოვახერხებთ ოპოზიციასა და პრეზიდენტთან კომუნიკაციას. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ინვესტორები, რომ საქართველო იქნება პოლიტიკურად სტაბილური. ჩვენ ყველა პირობას შევქმნით, რათა ის ელიტური კორუფცია, რომელიც ყვაოდა ხელისუფლებაში, ამოვკვეთოთ. ვერც ერთმა ჩინოვნიკმა ვერ უნდა შეძლოს კერძო საკუთრებაში უკანონოდ ჩარევა. არ ვფიქრობ, რომ ეკონომიკურ კანონებს დიდი ცვლილება დასჭირდება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას არ გამოვრიცხავთ. დავიცავთ კანონებს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანა გახდეს საიმედო კერძო საკუთრებისთვის, — განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

**ბიძინა ივანიშვილი ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ტარიფების შემცირებას უახლოეს მომავალში ვარაუდობს.**

**ამის შესახებ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა მას შემდეგ განაცხადა, რაც გია თევდორაძე დაინტერესდა, რა ვადებში და რა პროცენტით შემცირდება ტარიფები.**

ივანიშვილის განცხადებით, ფასების ანალიზს მთავრობის დამტკიცების პირველსავე დღეს გააკეთებენ.

— უკვე გვაქვს ციფრები, რა ფასად ვყიდულობთ გაზს, რამდენი გვეკუთვნის უფასოდ, როგორია გაზის კომერციული ფასი, რომელსაც აზერბაიჯანისგან ვყიდულობთ, საშუალო ფასი დისტრიბუციამდე დაახლოებით 143-153 დოლარია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ არიან კომპანიები, რომლებიც ფასს ხელოვნურად ზრდიან. მოგვიანებით გაიგებთ ამას. ასეთივე წარმოდგენა გვაქვს ელექტროენერგიაზე, რომ ხშირად ტარიფები ხელისუფლების წევრების კომპანიების ხელოვნური ჩართულობით არის გაზრდილი. ამის საფუძველზე არსებობს რეზერვი, რომ ტარიფები დაიწიოს. მომავალში ამისთვის საჭირო იქნება მართვის ოპტიმიზაცია. მომავალშიც უნდა მოვახერხოთ, რომ ჰესების მეპატრონე ქვეყნისთვის ელექტროენერგია იყოს უფრო იაფი და არ იდგეს ევროპის განვითარებული ქვეყნების ფასებთან ახლოს. იმ კომპანიების ჩამოშორებით, რომლებიც ფასების შექმნაში მონაწილეობენ, უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება ტარიფების დაწევა. რა რაოდენობით, ამაზე ვერ გიპასუხებთ, მაგრამ კლების ტენდენცია მომავალშიც სწორი ეკონომიკური გათვლებით შესაძლებელი იქნება, — აღნიშნა ივანიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**



## ქუთაისურ წვიმას „ჯადოქარმა“ პრეზიდენტმაც ვერ უშველა

**ქუთაისში წვიმის დროს პარლამენტის შენობაში წყალი ჩავიდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, შენობაში წყალი ათეულობით ადგილზეა ჩასული.**

**დაახლოებით 20-კაციანი ჯგუფი პარლამენტის შენობას ასუფთავებს. როგორც დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები ამბობენ, „შენობაში ყოველ გაწვიმებაზე ასეთი ამბავია“.**

**პარლამენტში წყალი დაახლოებით ათი დღის წინაც ჩავიდა. იქიდან მოყოლებული თითქმის ყოველდღე შუშის სახურავის შეკეთება მიმდინარეობს.**

**ალპინისტებისგან შემდგარი ჯგუფი სახურავს ყოველდღიურად წებოს გამოყენებით არემონტებს.**

**ინტერპრესნიუსი**

კითხვა-პასუხის რეჟიმში

# დევნილებმა ხმა ამოიღეს...

**საქართველოს პარლამენტში გორის მაჟორიტარმა დეპუტატმა მალხაზ ვახტანგაშვილმა პირველი შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ პირებთან გამართა. შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ინიციატივით შედგა. თვითონ ვახტანგაშვილი 90-იანი წლების კონფლიქტის დროს ცხინვალიდან დევნილად იქცა და 20 წელზე მეტია, გორში ცხოვრობს. მისთვის დევნილების პრობლემები ახალი არ არის, მაგრამ შეხვედრამ, სადაც პრობლემებზე საუბარი იძულებით გადაადგილებულმა პირებმა თავისუფლად შეძლეს, მოლოდინს გადააჭარბა.** შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. იძულებით გადაადგილებულ პირებს პირველი შეკითხვის დასმა კი გაუჭირდათ, მაგრამ ამის შემდეგ მათ თავისუფლად ამოთქვეს წლობით დაგროვილი სათქმელი - ხმამაღლა განაცხადეს, რომ ჩასახლებათა მამასახლისები და კოორდინატორები პრობლემებზე საუბარს უშლიდნენ, განსხვავებული მოსაზრებების გამო კი დევნიდნენ. საუბარი შეეხო კომპენსაციებისა და საცხოვრებელი ფართების არასამართლიან განაწილებას, გაზრდილ გადასახადებს და მცირე სოციალურ შემწეობებს, უკვე მესამედ გარემონტებულ, მაგრამ მაინც უხარისხო კოტეჯებს, მოახლოებულ ზამთარს და დაგროვილ დავალიანებებს. ვერხვების დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მარინა მაისურაძე ამბობს, რომ ბოლო წლებში ყველაზე დიდი პრობლემა დევნილებისათვის მაინც უსამართლობა და უკანონობა იყო.

გია ცოტნიაშვილი კარალეთის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. მისი თქმით, დიდი ხანია პრობლემების შესახებ ხმას ვერ იღებდა, ყოფილი ხელისუფლება კი ისე წარმოაჩენდა, თითქოს დევნილებს არაფერი აწუხებთ. დეპუტატის საქმიანობის ასეთი დასაწყისი მას იმედს აძლევს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები ეტაპობრივად გადაიჭრება.



შეხვედრის ბოლოს მალხაზ ვახტანგაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლება ყველა კანონდარღვევასა და უსამართლობაზე ყურადღებლობას გამოიჩენს, პირველი რიგის პრობლემების მოგვარებას კი ახლო მომავალში დაიწყებს.

შეხვედრის დასასრულ გადაწყდა, რომ დეპუტატი გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებს თვითონვე ეწვევა, ადგილზე გაეცნობა კონკრეტულ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებზე იმუშავებს.

**გოგა აფციაური,**
**რადიო „თავისუფლება“**

სატრანსპორტო დერეფანი

# აზიიდან ევროპაში, კავკასიის გავლით

**სამხრეთ კავკასიას, როგორც ენერგოშემცველთა და სატრანსპორტო დერეფანს აზიისა და ევროპის ბაზრებს შორის, დიდი ხანია უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული როლი აკისრია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ კონტექსტში.**

ამჟამად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დატვირთვის გარდა დერეფნის სატრანსპორტო-სატრანზიტო ფუნქციაც კონკრეტულ სახეს იღებს, რაც მის შინაარსს უფრო წონადს, გამოყენებას კი უფრო ინტენსიურს ხდის. შესაბამისად იზრდება როგორც მისი ეკონომიკური, ასევე გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც. ლაპარაკია, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზზე, რომლის მშენებლობა, მართალია, ჯერჯერობით არ დასრულებულა, მაგრამ რომლის სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალისადმი დიდ ინტერესს არა მარტო მონაწილე ქვეყნების პარტნიორი ცენტრალური აზიისა და ევროპის, არამედ უფრო შორეული, კერძოდ, ჩინეთისა და ავღანეთის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები იჩენენ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი სარკინიგზო მაგისტრალი ჯერაც მწყობრში არ ჩამდგარა, ჩინეთი-ცენტრალური აზია-სამხრეთ კავკასია-თურქეთის სატრანსპორტო დერეფნის სატრანზიტო პოტენციალის საკუთარი მიზნებით გამოყენებაზე ახლახან უკვე შეთანხმდნენ უზბეკეთი და თურქმენეთი, რომელთა სამომავლო გეგმები დიდადაა დაკავშირებული ნავოი-თურქმენბაში-ბაქო-თბილისი-ყარსის სატრანსპორტო პროექტის რეალიზაციასთან, რომელიც მას საქონელს ევროპის ბაზრებზე შეღწევას მნიშვნელოვნად გაუადვილებს.

სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის სატრანზიტო პოტენციალის საკუთარ ინტერესებში გამოყენების სურვილი ასევე აქვს ავღანეთს, რომელიც დიდადაა დაინტერესებული ირანსა და პაკისტანზე გამავალი გზების ალტერნატიული დერეფნის გახსნაში. ასეთად კი მას ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაზე, კერძოდ, თურქმენეთზე, აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე გამავალი სარკინიგზო ხაზი ესახება, რაც მას შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობას მისცემს. ბუნებრივია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ეს პროექტი დიდი მხარდაჭერით სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.



ბუნებრივია, რომ ამ ფართომასშტაბიან საერთაშორისო სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის შეუფერხებლად მოქმედება ყველა მონაწილის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებშია, რასაც გეოპოლიტიკური ჟღერადობაც ახლავს რეგიონებში პოლიტიკურ-სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების მხრივაც. ამ გარემოებას კი, ბუნებრივია, ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვისაც.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ მდგომარეობა ასეთია

**მალე საქართველოს უკვე სრულად დაკომპლექტებული ახალი ხელისუფლება მუშაობას შეუდგება, წინ კი მთავრობის დამტკიცების საკმაოდ საინტერესო პროცედურა გველის. ჩვენს საზოგადოებაში მსგავსი მოლოდინი არასოდეს არ ყოფილა. მოლოდინებიც რიგითობის მიხედვით დალაგდა, უპირველესად ხალხი სამართლიანობის აღდგენას ელოდება, შემდეგ კი – იმ სოციალური ტვირთის შემსუბუქებას, რაც ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.**

# რატომ ვერ უსვამს გია ხუხაშვილი მიხეილ სააკაშვილს დიაგნოზს?

## ანუ ჩუმი საბოტაჟი, რევანშისტული განწყობები

**– ბატონო გია, არასოდეს საქართველოში არც ერთი მთავრობის დამტკიცების წინ კანდიდატთა მიმართ ასე ფართოდ გამოხატული ინტერესი არ ყოფილა. საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ ლტოლვილთა განსახლების და ენერგეტიკის მინისტრები, მათ მიმართ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები ვრცელდება, როგორ ფიქრობთ, ეს ჯანსაღი პროცესია, თუ რაღაც ეჭვები ჩნდება?**

– ეს ნიშნავს ხელისუფლების ცნობილი, შავი პიარის ტექნოლოგიას და მეტს არაფერს. დანარჩენ საზოგადოებას რომ კითხვები გაუჩნდა დარახველიძესთან დაკავშირებით, სწორედ ეს არის ჯანსაღი პროცესი.

ადრე იმდენად ნიჰილისტურად იყო საზოგადოება განწყობილი, რომ ხელი ჰქონდა ჩაქნეული, ვერა ქობალიას დანიშნავდა პრეზიდენტი თავისი ეგზოტიკური მოსაზრებებით თუ კიდევ სხვა რამეს გააკეთებდა – ხელი ჰქონდა ყველას ჩაქნეული და მხოლოდ ირონიას გამოხატავდა.

საზოგადოება რომ აქტიურობს, ეს კარგია. მეორე მხრივ, სხვა საკითხია, რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს ეს პროცესი. პროპაგანდის ნარჩენები ახერხებენ დამახინჯებას, კონტექსტების ამოგლეჯას და იმაზე მეტის დაბრალებას ადამიანისთვის, ვიდრე მას ჩაუდენია.

**– კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– რაც მოხდა დარახველიძის შემთხვევაში. გასაგებია, რომ გამონათქვამები შეიძლება, არ იყოს სასიამოვნო, მაგრამ დარახველიძე რომ ქსენოფობი არ არის, ამას რად უნდა ლაპარაკი! ყველა დარწმუნდა ამაში, მაგრამ ახლა უკვე ამ თემას ზედმეტად აბუქებენ. ადამიანმა ბოდიში მოიხადა, ქსენოფობი არ არის, ქსენოფობიაში არ არის შემჩნეული. ის ადამიანები, რომლებიც ახლა აღშფოთებულები გამოდიან, დარწმუნებული ვარ, თვითონაც ძალიან კარგად ჰყვებიან ანეკდოტებს ნაციონალობასთან დაკავშირებით. საკუთარ თავებში ჩაიხედონ და საკუთარ გულებში, რამდენად გულწრფელები არიან ამ ყველაფრის კეთების დროს.

**– როდესაც ექსპერტები აფასებდნენ ამ ფაქტს, ასეთი მოსაზრება გამოითქვა, რომ ქსენოფობიაზე კი არ უნდა კეთებოდეს აქცენტი, არამედ იმაზე, თუ დევნილებისათვის რის გაკეთებას აპირებს დარახველიძე, რადგან მხოლოდ იმას ამბობს, რომ დევნილებს ბიძინა ივანიშვილი დაეხმარება. ალბათ, ჯობდა, საკუთარი ხედვა და გეგმები წარმოედგინა...**

– ფაქტია, რომ მთელი ეს პროცესი თავიდან ბოლომდე იყო ბიძინა ივანიშვილი. ყველას თავისი მცირე წვლილი აქვს შეტანილი, მაგრამ ეს პროცესი ბიძინა ივანიშვილს მიჰყავდა. აქედან გამომდინარე, უცნაური არაფერია იმაში, როდესაც მისი გუნდის წევრებს მისი იმედი აქვთ. თუმცა, მას შემდეგ, რაც მინისტრები თავის საქმიანობას შეუდგებიან, წამოვა კონკრეტული ინიციატივებიც. ისინი შეეცდებიან, საკუთარი პროგრამებით იმოქმედონ. ეს ისეთი ნიუანსებია, რაზეც ამ ეტაპზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

რაც შეეხება კახა კალაძეს, მის გარშემო ხმაური პირველად არ ამტყდარა. წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც არაერთი ბრალდება მოვისმინეთ. ახლაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჰესებისა და თბოელექტროსადგურების მფლობელია, თუმცა რეალურად ის ფლობს კომპანიის წილს, რომელიც, სამშენებლო კომპანიაა, ჰესების მშენებლობაა მისი პროფილი.

**– თქვენი შეფასებით, ეს წინასაარჩევნოდ აგორებული კამპანიის გაგრძელებაა თუ, უბრალოდ – საზოგადოების გაზრდილი ინტერესი?**

– ეს, რა თქმა უნდა, იმის გაგრძელებაა, რაც წინასაარჩევნოდ ხდებოდა, რადგან ჩვენს ხელისუფალს, რომელიც დირექტორია პროპაგანდის და მთელი ამ შავი პიარის, ამოჩემებები აქვს. კახი კალაძე იყო სიის პირველი ნომერი – ეს არის პირველი პრობლემა. მეორე პრობლემაა ის, რომ, როგორც ჩანს, სააკაშვილი კალაძეს პირად მტრად თვლის. მისი მაამებელი პროპაგანდის მთელი ინდუსტრია კახი კალაძის წინააღმდეგ ამ ბინძურ კამპანიაზე მუშაობს. ვფიქრობ, ეს არის მიზეზი და მეტი არაფერი, თუმცა, მგონია, ეს ემოციებიც ჩაცხრება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

**– მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას თქვა, რომ აქტიურად ითანამშრომლებენ ახალ ხელისუფლებასთან, თუმცა იქვე მოაყოლა, რომ მათ შორის ყველა საკითხში აზრთა სერიოზული სხვადასხვაობაა და აბსოლუტურად განსხვავებული ხედვები აქვთ. ასეთ შემთხვევაში, ეს თანამშრომლობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

– მიჭირს ამ ადამიანის კომენტირება. შეჩვეულები ვართ, ერთ დღეს საომარი რიტორიკით რომ გამოდის, მეორე დღეს კი მშვიდობის მტრედად მოგვევლინება ხოლმე. ეს ადამიანი, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ქვეყნის წარსულია. ის, როგორც პოლიტიკური ფიგურა, დამთავრებულია, მორჩენილია და ზედმეტად მიმაჩნია მის გამონათქვამებზე კომენტარების კეთება. თან ვითანამშრომლოთ და თან არაფერში არ ვეთანხმებით, ამაზე კომენტარი როგორ გავაკეთო, რა ვთქვა? არ ვარ იმ სპეციალობის, რომელმაც ფსიქოანალიზით უნდა იხელმძღვანელოს და დიაგნოზი დასვას.

**– უმცირესობის წევრებიც აცხადებენ, რომ უმრავლესობასთან ითანამშრომლებენ, თუმცა მკაცრად გააკონტროლებენ, რას როგორ გააკეთებენ. ესეც თანამშრომლობის საკმაოდ უცნაური ფორმაა...**

– გასაგებია ეს ყველაფერი – ჩუმი საბოტაჟი, რევანშისტული განწყობები, რაც, პირდაპირ გეტყვით, ირონიის მომგვრელია. საკუთარ თავს თუ უმტკიცებენ, რომ ისევ მაგარი ბიჭები არიან, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ძალიან კარგად თქვა თავის დროზე ია ანთაძემ – რომ ისინი ჰგვანან ბავშვებს, რომლებიც ბნელ ოთახში მოხვდებიან და შიში რომ გადაფარონ, ხმამაღლა ყვირიან. დაახლოებით ამ სიტუაციაშია დღეს საქციელწამხდარი ყოფილი ხელისუფლება, დაწყებული ჩიორადან, დამთავრებული სააკაშვილით.

**– აკაკი მინაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვებიც, უმცირესობიდან, აცხადებენ, რომ ჩაუსხდებიან მათს პროგრამებს და ნახავენ, ზუსტად შეესაბამება თუ არა ეს პროგრამები მათ წინასაარჩევნო დაპირებებს...**

– ისინი ჩაუსხდნენ იმ განუკითხაობას, რაც ცხრა წლის განმავლობაში აკეთეს. რასაც უნდა იმას ჩაუსხდნენ, არ ვფიქრობ, რომ ეს საინტერესოა და რომ ისინი აქტუალურები არიან ქართულ სინამდვილეში.

**– სამაგიეროდ ძალზე საინტერესოა ის თემა, რომ ნაციონალური მოძრაობის თითქმის ყველა მაღალჩინოსანზე არსებობს ეჭვი მათ კავშირზე კორუფციასთან, სხვადასხვა დროს მომხდარ სისხლის სამართლის დანაშაულთან. საკმაოდ რთულია, რომ ამ ყველაფერმა პოლიტიკური დევნის სახე არ მიიღოს...**

– სამართლიანობა ხომ უნდა აღდგეს?! უახლოეს პერიოდში ბევრ საინტერესო ამბავს გავიგებთ. ვფიქრობ, მათთვის ძალიან რთული პერიოდი იწყება. ჯერ ეიფორიაში არიან და ჰგონიათ, რომ ეს ყველაფერი დაიმალება. არაფერი არ დაიმალება, ყველაფერი გამოვა სააშკარაოზე. არავინ არავის არ ემუქრება და არავისი სისხლი არავის არ სწყურია, მაგრამ რეჟიმი რომ უნდა გასამართლდეს, აქ ორი აზრი არ არის და ეს გარდაუვალია. სხვანაირად ამ ქვეყანას თავს ვერ დავაღწევთ. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ადამიანები ამ რეჟიმის ფიგურანტები არიან – ამ განუკითხაობის კონკრეტული ფიგურანტები.

ისინი რაღაცნაირად ცდილობენ, სახე შეინარჩუნონ და თუ ამას მოახერხებენ, ამისი წინააღმდეგი არ ვიქნები. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ძალიან გაუჭირდებათ ამის გაკეთება.

**– არსებობს მოლოდინი, რომ პასუხი ამ ყველაფერზე ნაციონალთა ლიდერმაც უნდა აგოს. რამდენად არის შესაძლებელი, პრეზიდენტზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება?**

– სისხლის სამართლის დანაშაულის პატიება არ შეიძლება არავისთვის! შესაძლოა, არ დააპატიმრო, რადგან მას იმუნიტეტი იცავს, არც არის ამოცანა ვიღაცის მაინცდამაინც ციხეში ჩასმა. ამოცანა არის გასამართლება. გასამართლებას რა ფიზიკური შედეგი მოჰყვება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ დანაშაულის პატიება რომ არ შეიძლება, პრეზიდენტი კი არა, ვინც არ უნდა იყოს, რად უნდა ამას ლაპარაკი.

იხ. 4 გვ.

ჩუმი საბოტაჟი, რევანშისტული განწყობები, რაც, პირდაპირ გეტყვით, ირონიის მომგვრელია. საკუთარ თავს თუ უმტკიცებენ, რომ ისევ მაგარი ბიჭები არიან, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ძალიან კარგად თქვა თავის დროზე ია ანთაძემ – რომ ისინი ჰგვანან ბავშვებს, რომლებიც ბნელ ოთახში მოხვდებიან და შიში რომ გადაფარონ, ხმამაღლა ყვირიან. დაახლოებით ამ სიტუაციაშია დღეს საქციელწამხდარი ყოფილი ხელისუფლება, დაწყებული ჩიორადან, დამთავრებული სააკაშვილით.

◎ მამული ჩვენი

# ვარძიის რესტავრაცია იწყება

**გადმოცემით, თამარ მეფის ადგილ-სამყოფელი მტერს რომ არ შეეტყო, თამარისვე ბრძანებით, ვარძიაში წელიწადის დღეთა შესაბამისად, 365 ოთახი იყო გამოკვეთილი, რის გამოც მტერი მის საძინებელს ვერ აგნებდა. მთლიანობაში, 500 მეტრზე გადაჭიმულ ვარძიის ციხე-ქალაქში 600 ოთახია. როგორც სპარსული მემატიანე წერს, საკვირველია ვარძიის მიუვალობა და ამით ის ალექსანდრეს კედელსა და ხეიბერის კოშკს თუ შეედრება.**

ცამეტ სართულად განლაგებული კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადასარჩენად 50 წლის შემდეგ აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის და სამუშაოები ფინანსების უქონლობის გამო არ შეჩერდება, ვარძიისთვის დამახასიათებელი ქვათა ცვენა შეჩერდება და უნიკალური კედლის მხატვრობაც გადარჩება. არადა, ცნობილია, რომ კომპლექსისთვის ყველაზე სახიფათო სწორედ პერიოდული ქვების ცვენაა, რაც ამ მე-12-13 საუკუნის ძეგლს აზიანებს.

**სწორედ ამიტომ ვარძიაში სამუშაოები ორი მიმართულებით წარმოებს – ქვათა ცვენის პრევენციული სამუშაოების განხორციელებას ქვის კონსერვაციის იტალიელი ექსპერტი, იუნესკოს წარმომადგენელი კლაუდიო მარგოტინი უძღვება, ხოლო მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავებას – ლონდონის უნივერსიტეტის, კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის დეპარტამენტის წარმომადგენელი და კონსერვაციის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე შერონ ქეთერი.**

**For.ge** დაინტერესდა, აქამდე რატომ არ მოხერხდა 800 წლის წინანდელი ამ უნიკალური კომპლექსის აღდგენითი სამუშაოების დაწყება.

სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორი ნანა კუპრაშვილი აცხადებს, რომ 50-იანი წლების შემდეგ ვარძიაში მხატვრობის რესტავრაცია მართლაც არ მომხდარა.

**„ფაქტობრივად, 65 წელი გავიდა და პირველად ახლა ტარდება აღდგენითი სამუშაოები. საკმაოდ რთული მდგომარეობაა და რთული ძეგლია. ძეგლზე მუშაობა აქამდე იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ რთული იყო და ვარძია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვერჩივნა, საერთაშორისო ორგანიზაციები ყოფილიყვნენ ჩართულნი და მსოფლიოს სხვადასხვა სპეციალისტებს მიეღოთ მონაწილეობა. სანამ მზად არ იქნები, რომ კონსერვაციის დროს შეცდომა არ დაუშვა და, სანამ ყველა ექსპერტის მობილიზება არ მოხდება, ამ სამუშაოების დაწყება ძნელია,“** – აცხადებს ნანა კუპრაშვილი.

მისივე თქმით, პროექტში ჩართულია ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტი. ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიაში კი, ისევე, როგორც ჩვენს ლაბორატორიებში, დამუშავდება მასალები.

როგორც გავარკვიეთ, კვლევა, ტესტირება, საკონსერვაციო მეთოდის შერჩევა ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ასეთი ხანგძლივვადიანი პერიოდი კი იმისთვის ყოფილა, რომ შეცდომისგან დაზღვეული იყვნენ.

იხ. 6 გვ.



ვეძებთ ჭეშმარიტებას

# ოცნების უძლეველობა,

## ანუ მუდმივი და ყაველგაუსვლელი არაფერია



**საპარლამენტო არჩევნებიდან საკმარისი დრო გავიდა, რათა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების მიზეზებზე ამ მოძრაობის ყოფილ იდეოლოგებსა და ადეპტებს სისტემური მოსაზრება „დაედოთ“. მაგრამ ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით საყურადღებო აზრი გამოთქვა, ლევან რამიშვილია, რომლის ძალიან საინტერესო ინტერვიუ მოსკოვურ ჟურნალ „ძალაუფლებაში“ გამოქვეყნდა.**

უთვალავმა ექსპერტმა თუ „მოექსპერტო ჟურნალისტმა“ განსაკუთრებით ის თეზისი აიტაცა, რომ განვითარების ერთ-ერთი პარადოქსი სოციალური აგრესიის გაძლიერებაა, რადგან ადამიანს ნაკლები აგრესია აქვს მაშინ, როდესაც გარემო შეესაბამება მის ყოფას და უჩნდება აგრესია მაშინვე, როგორც კი გარემო უმჯობესდება. მაგალითად: ბათუმელებში ნაკლები აგრესია იყო იმ დროს, როდესაც ცათამბჯენები არ შენდებოდა, მაგრამ რომ შენდება, „მისი ცხოვრება კვლავინდებურად საშინლად მძიმეა – აგრესიული ხდება“.

სდექ! ასეთი რამ ლევან რამიშვილს არ უთქვამს. ეს უკვე ინტერპრეტაციაა, რომელიც იმ პრიმიტიული სტერეოტიპიდან გამომდინარეობს, თითქოს „ოცნების“ გამარჯვება და „ნაციონალთა“ დამარცხება „მოსახლეობის საშინელმა სიდუხჭირემ განაპირობა“. საოცარია პირდაპირ, რა იოლად და თუთიყუშური მექანიკურობით იმეორებენ ამ სისულელეს ისინიც კი, ვისაც თითქოს ოდნავ უფრო „რთულად აზროვნება“ უნდა მოეთხოვებოდეს. ბევრი მათგანი კომუნისტურ ეპოქას ვერ მოესწრო, მაგრამ ამ თემაზე მსჯელობს წმინდად მარქსისტულ-ლენინური პოსტულატებით. მაგალითად, „მდგომარეობა შეიქმს შეგნებას“ და ა.შ.

სინამდვილეში არავითარი პირდაპირი კორელაცია მოსახლეობის სიდუხჭირესა და არჩევნებში „ოცნების“ ტრიუმფალურ წარმატებას შორის არ არსებობს. ოღონდ, სანამ ნამდვილ მიზეზებზე ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, ამ ყბადაღებული სიდუხჭირის „გაშიფვრაც“ უნდა ვცადოთ. მოსახლეობის 15-20 პროცენტს მართლა ძალიან უჭირს, მაგრამ ეს კატეგორია ვერ განსაზღვრავდა არჩევნების შედეგს. მით უმეტეს, რომ აგვისტოში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციების რეიტინგებით (NDI, IRI, Gallup – მათ ობიექტურობაში არსად ეპარებათ ეჭვი ირანის, ჩრდილო კორეისა და საქართველოს გარდა) „ნაციონალური მოძრაობა“ დაახლოებით ორჯერ უსწრებდა „ოცნებას“.

რა, მაშინ ნაკლები სიდუხჭირე იყო ქვეყანაში? „ოცნების“ სოციალურ დაპირებებს რაც შეეხება, „ნაციონალებს“ ამ თვალსაზრისით არანაკლებ მიმზიდველი პროგრამა ჰქონდათ და არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ 1000-ლარიან ვაუჩერს, მაგალითად, ისინი ნამდვილად დაარიგებდნენ. ეს უფრო ხელჩასაჭიდიც კი ჩანდა, ვიდრე დაპირება ტარიფების გაიაფების ან პენსიის გაზრდისა და სრულიად უფასო ჯანდაცვის შესახებ. არც ისე გამოთაყვანებულია ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა, რომ მხოლოდ დაპირებებზე ასე „ავარდეს“ და 2 თვეში სრულიად საპირისპირო შედეგი აჩვენოს.

* * *

**„საშინელ გაჭირვებას“ რაც შეეხება, გააჩნია რას ვუწოდებთ გაჭირვებას, თუკი უმრავლესობაზე (და არა ხსენებულ 20 პროცენტზე) ვსაუბრობთ. ავიღოთ კვლავ მიშას მიერ „ნაშვილები“და ნალოლიავები ბათუმის მაგალითი, სადაც შედეგი თითქოს ფანტასტიკურად არალოგიკური აღმოჩნდა: როდესაც ადამიანი იმის გამო ღელავს, რომ თავად 600-ლარიან შემოსავალზე ცხოვრობს სამოთახიან ბინაში და ვიღაც იქვე აგებულ კაშკაშა სასტუმროებში ატარებს დროს ღამღამობით, ან სამსართულიან სახლებს იშენებს, ეს სულ სხვა კატეგორიის სოციალური მოვლენაა, რასაც საბა უწოდებდა „წუხილს სხვისა სიკეთესა ზედა“, ანუ უბრალოდ „შურს“ და რა ვქნათ ახლა, კომუნისტური პარტია აღვადგინოთ თუ მარქსის „კაპიტალი“ ვთარგმნოთ ხელახლა სოციალური უთანაბრობის აღმოსაფხვრელად?**

საქართველოში ათიდან ცხრა ნაცნობი (კლასელი, კურსელი, უბნელი და ა.შ.) შეხვედრისას ტკბილად მოგიკითხავთ და აუცილებლად გეტყვით, რომ საშინლად უჭირს, რომ კაპიკებს ითვლის, რომ ვალები აქვს და ა.შ. მაგრამ იმ ცხრიდან შვიდი ამას გეუბნებათ არა იმიტომ, რომ მართლა უჭირს, არამედ იმისთვის, რათა არაფერი სთხოვო! ეს ქართული საზოგადოების „ნოუ-ჰაუ“ სოციალური სოლიდარობის მოთხოვნათა საპასუხოდ.

ათიდან ცხრა ტაქსისტი მძლოლი შემოგჩივლებთ, რომ უმუშევარია, თუმცა დღეში 25 ლარი „რჩება“. ხოლო როდესაც ერთ მათგანს ვკითხე: „დალოცვილო, გარდაბანში, „კარაქივით მიწაზე“ მამაპაპეული სახლი რომ დააგირავე „მერსედესის“ საყიდლად და თბილისში „სატაქსაოდ“, ხომ არ ჯობდა, მიწა დაგემუშავებინა-მეთქი“. ისე შემომხედა, თითქოს უპატიებელი შეურაცხყოფა მივაყენე: „ვგავარ იმ კაცს, მიწაზე რომ იმუშავებს – შენ თვითონ იმუშავებ მიწაზე, ძმაო?“

ვიმეორებ: არავინ უარყოფს, რომ არსებობს მართლაც გაჭირვებული კატეგორია, მაგრამ ის ვერ გადაწყვეტდა ამ არჩევნების შედეგს, რომ არ ამოქმედებულიყო ორი უმთავრესი და ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი, რომელთა კატალიზატორის „ფეთქებადი როლი“ ციხის სკანდალმა შეასრულა:

1. საზოგადოების ფსიქოლოგიური გადაღლა და უძლიერესი სტრესი, რომლებიც ცნობილი კადრების ჩვენებამ გააათმაგა! არსებობს ასეთი ტერმინი „გადაწვა“. ქართული საზოგადოება „გადაიწვა“ გაუთავებელი PR-შტურმებით (მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ აქ ძალიან გადაამლაშა, ერთფეროვანი პრეზენტაციებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, წარმატებებითაც კი. დიახ, დიახ, ცნობილი ფენომენია: მასის ფსიქოლოგია ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ მას ყველაფერი ყირჭდება; აბსოლუტურად ყველაფერი: წინსვლა, წარმატება, მოდერნიზაცია და განვითარებაც! ამ ცნობიერ მდგომარეობაში მას უკვე აბსოლუტურად ყველაფერი აღიზიანებს და უჩნდება სიახლის, ცვლილებების უძლეველი ინტენცია!

2. აქედან გამომდინარე, ადამიანებისთვის სიახლე და ცვლილება თავისთავადი ღირებულება ხდება და არანაირი რაციონალური არგუმენტი, არანაირი ციფრები მასზე უკვე ველარ იმოქმედებს: უამრავ ადამიანს იცნობთ, ვისაც მატერიალურად არაფერი უჭირს, მაგრამ მაინც „ოცნებას“ მისცა ხმა. იმიტომ, რომ მიშა ირაციონალურად სძულდა, იმიტომ, რომ ძველი მოყირჭდა, იმიტომ რომ ცვლილებები მოსწყურდა. მორჩა და გათავდა!

არჩევანი, რომელიც ქართველმა ხალხმა გააკეთა 1 ოქტომბერს, იყო მართლაც „ღირებულებითი არჩევანი“. ადამიანებმა „ოცნებას“ ხმა მისცეს თავისი წარმოდგენების და იმ მოვლენათა თუ ფენომენთა შეფასების შედეგად, რომელთაც უშუალოდ მათ ცხოვრებაზე, მათ მატერიალურ მდგომარეობაზე, კეთილდღეობაზე თუ შემოსავლებზე გავლენა არ ჰქონიათ. მით უმეტეს, რომ ჩვენ არა ვართ ტრადიციული დემოკრატია, სადაც ყოველ ინდივიდს უკვე მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული (მრავალი საარჩევნო ციკლის შედეგად), რომ მის მიერ ყუთში ჩაგდებულ ბიულეტენზე დამოკიდებულია არა რალაც განყენებული მატერიების, არამედ კონკრეტულად მისი და მისი ოჯახის ბედი თუ უბედობა.

როდესაც ადამიანს აღიზიანებს (აღიზიანებს უბრალოდ იმიტომ, რომ არ მოსწონს და ეს მისი უფლებაა!!!), „რიყის ხიდი“ და შენ უწყებ იმის ახსნას, რომ იმ ხიდით ტურისტები სარგებლობენ, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიან და ა.შ, ეს მისთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. ამ ადამიანს ასეთი წარმოდგენა, ასეთი განწყობა, დიახაც ასეთი შეხედულებები და შინაგანი განზრახვა აქვს! ამიტომ ნებისმიერი, ყველაზე ჭკვიანური და დასაბუთებული არგუმენტი მხოლოდ კიდევ უფრო განარისხებს!

როცა ქალბატონ-ამომრჩეველს ქვეცნობიერად აღიზიანებს ვერა ქობალია ან სოფო ნიჟარაძე (უბრალოდ იმიტომ, რომ მასზე ახალგაზრდები არიან), ხოლო შენ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროცენტზე და მსოფლიო რეიტინგებში ქვეყნის წინსვლაზე უყვები, შედეგი ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც საბოლოოდ „დადგა“.

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ქართველი ქალები ამ მხრივ იოტისოდენად არ განსხვავდებიან ფრანგი ან ინგლისელი ქალბატონებისგან.

* * *

**„ახალი“ იმიტომ კი არ არის „ძველზე“ ძლიერი, რომ მასზე უკეთესია, არამედ უკვე და მხოლოდ იმიტომ, რომ ახალია, ის კი – ძველი!**

შესაბამისად, „ოცნებაც“ უძლეველი ხდება. იგი უძლეველი იყო 2003 წელს, რაკი მაშინაც ამოქმედდა „მოყირჭებისა“ და ცვლილებებისადმი სწრაფვის სოციოფსიქოლოგიური ფაქტორი, რაც თავის დროზე ბრწყინვალედ გამოიყენა მიშა სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძის დასამარცხებლად. არ დაიჯეროთ, თითქოს შევარდნაძის კრახი იმან გამოიწვია, რომ მაშინ პენსია 14 ლარს არ აღემატებოდა! სინამდვილეში, სამუშაო ადგილი მაშინ ბევრად მეტი იყო – თუ „ერგნეთსა“ და მსგავს „დასაქმების ცენტრებს“ მივათვლით.

რატომ აქცევენ ესოდენ დიდ ყურადღებას ევროპელები და ამერიკელები ხელისუფლებათა და მთავრობათა ცვალებადობას? რატომ ჩასჩიჩინებდნენ დღენიადაგ პრეზიდენტს (მიშას თვითონ წამოსცდა ერთხელ): „სანამ მთავრობა არ შეიცვლება, თქვენ დემოკრატია არა ხართო?“. იმიტომ, რომ ხელისუფლების ცვლილება (ცვალებადობა, მონაცვლეობა) თავისთავადი, ეჭვმიუტანელი ღირებულებაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიღაცას მიაჩნია, რომ წავიდა კარგი და მოვიდა ცუდი ხელისუფლება.

რამდენად კარგია ან ცუდი, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ რამდენად კარგი და წარმატებულიც არ უნდა იყოს (ვთქვათ, წინამორბედთან შედარებით), დაახლოებით 10 წლის შემდეგ მასაც გაუვა ყავლი და ისიც ხალხს მოყიჭრდება. შემდეგ კვლავ გამოჩნდებიან ჭკუის კოლოფები, რომლებიც იტყვიან, რომ „როდესაც ადამიანს სულ რაღაც 300 ევრო აქვს პენსია, ანუ საშინელ სიდუხჭირეში ცხოვრობს, მისი არჩევანი ახალი „ოცნების“ სასარგებლოდ არავის უნდა გაუკვირდეს“.

**ნიკა იმნაიშვილი,**

**ჯი-ეიჩ-ენი**

მდგომარეობა ასეთია

# რატომ ვერ უსვამს გია ხუხაშვილი მიხეილ სააკაშვილს დიაგნოზს?

(მესამე გვერდიდან)

**– ნაციონალებს ბევრი რამ ისე ჰქონდათ გაკეთებული, რომ შესაძლოა, მათი კვალის აღმოჩენა და დადასტურება საკმაოდ გართულდეს. თუ სჭირდებოდათ, კანონსაც ცვლიდნენ და ისე მოქმედებდნენ. ბოლო დღეებში ბიზნესის მხრიდან დაიწყო იმ ჩინოვნიკთა დასახელება, რომლებიც მათზე ზეწოლას ახდენდნენ. რამდენად შესაძლებელია, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს?**

– გამიჭირდება კონკრეტულ დეტალებზე საუბარი ორი მიზეზით – არ ვიცნობ ამ საკითხებს ასე ღრმად და არ ვარ იურისტი, რომ კონკრეტულ კვალიფიკაციაზე ვილაპარაკო. მე მაქვს ერთადერთი მოთხოვნა, მათ შორის, ხელისუფლებისადმიც - სამართლიანობა უნდა აღდგეს. არ უნდა მოხდეს გადამლაშება, არ უნდა იყოს რევანშიზმი, ეს არ უნდა იყოს პოლიტიკური დევნა, მაგრამ სამართალი ამ ქვეყანაში უნდა ამუშავდეს, მათ შორის იმ დანაშაულებზე, რაც ბოლო წლებში იყო ჩადენილი და ამას მხოლოდ ის მნიშვნელობა კი არ აქვს, რომ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. ამას აქვს პრევენციული დატვირთვაც, რომ სამომავლოდ ვერავინ ვერ გაბედოს იგივეს გამეორება. ეს არის ობიექტური აუცილებლობა, ამას ვერანაირად ვერ ავცდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში კიდევ გაჩნდება იმ ტიპის რისკები, რაც ადრე გვქონდა.

**– გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში მოქმედ ყველა ბიზნესს ხელისუფლება თუ მათთან დაახლოებული პირები მართავენ ან აკონტროლებენ. მეორე მხრივ, სამართლიანობის აღდგენა სხვადახვა პროცესების წამოწყებას გულისხმობს. ეს ხომ არ შექმნის პრეცედენტს, რომ, როგორც ადრე, საქართველოში ხელისუფლების ცვლის დროს ხდებოდა ხოლმე, ქონების ხელახალი გადანაწილების პროცესი დაიწყოს?**

– ამისი დაშვება არ შეიძლება. არსებული ბიზნესი რაც დღეს მუშაობს ქვეყანაში, რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დალაგდეს. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ბიზნესი მაინც და მაინც ხელისუფლებაში იყოს ინტეგრირებული. იყო ბიზნესი, რომელიც ლოიალური იყო, იყო ბიზნესი, რომელიც ხარკს უხდიდა ხელისუფლებას. ვფიქრობ, მათი ამნისტირება სრულიად შესაძლებელია.

რაც შეეხება ბიზნესებს, რომლებიც თვითონ არიან ხელისუფლება, ბუნებრივია, ასეთი პოლიტიზებული ბიზნესი ბაზარზე ვერ დარჩება და ვერ გაძლებს. თუმცა ვამბობ, რომ ეს ძალზე საფრთხილო პროცესია და ეს ყველაფერი არ უნდა დაემსგავსოს რევანშს და „ახლა ჩვენი დროას“ პრინციპით არ უნდა დაიწყოს მოქმედება. რაც მთავარია, ქონების ხელახალი გადანაწილება არ უნდა დაიწყოს – ეს ძალზე ფაქიზი პროცესია და კარგად გაკონტროლება სჭირდება.

**ლალი ზირაქიშვილი**

# საქართველოს დიდთა პოლიტიკაში არაფერი არ ესაქმება

**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებისკენაა მიმართული. წინასაარჩევნო მარათონი მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალებით შუქდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრეზიდენტობის კანდიდატების ობამასა და რომნის სატელევიზიო დებატებს, რომელთაც პირდაპირ არა მარტო ამერიკული ტელეკომპანიები გადასცემენ, არამედ „ბი-ბი-სი“, „ევრონიუსი“, სხვა ქვეყნების ტელეკომპანიებიც.**

ინტერესი არჩევნებისადმი დიდია, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული მომავალი 4 წლის მსოფლიო ავკარგიანობა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სამხედრო, საფინანსო დარგებში და სხვა. აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები, პირდაპირ თუ ირიბად, ეხება დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებს – ზოგან – მეტად, ზოგან ნაკლებად, ამიტომაც ამერიკის არჩევნები, ვინმეს სურს თუ არა ეს, მსოფლიოს არჩევნებად შეიძლება ჩაითვალოს.

აშშ მსოფლიოს ჰეგემონია თითქმის ყველა დარგში, თან გაცილებით უსწრებს მეტოქეებს, ისეთებს, როგორებიცაა ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი, იაპონია და სხვა. მიუხედავად ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისისა, უმუშევრობისა, ასტრონომიული საბიუჯეტო დეფიციტისა, წარუმატებელი და გაჭიანურებული სამხედრო მოქმედებისა, სხვა შემაფერხებელი მომენტებისა, აშშ მტკიცედ იკავებს მსოფლიოს ნომერ პირველი ქვეყნის ადგილს. და არა მარტო იკავებს, არამედ იბრძვის იმისთვის, რომ ასე იყოს მრავალი ათეული წლის განმავლობაში.

**აშშ არსად დედამიწის ზურგზე არ მიიჩნევა სანატრელ მეგობრად ან გულწრფელ პარტნიორად, რის დასტურიცაა თითქმის მთელს მსოფლიოში სისტემატურად გამართული ანტიამერიკული დემონსტრაციები, მიტინგები, გამოსვლები – აშშ-ის დროშების დაწვით, დიპლომატიური წარმომადგენლობების დარბევით, დიპლომატთა ხოცვით.**

პირველი ქვეყნისადმი ანტაგონისტური განწყობა სხვა ქვეყნების მხრიდან, ამ ქვეყნის მოქალაქეთა ქედმაღლური დამოკიდებულების შედეგიცაა, მაგრამ მთავარი პოლიტიკაა - ფლიდი, ორმაგი სტანდარტებით გაჯერებული.

საფინანსო-ეკონომიკური ბერკეტები, მთელს მსოფლიოს მოდებული ავიამზიდები, მსოფლიოში მიმობნეული სამხედრო ბაზები, მსოფლიოში არსებული ე.წ. ამერიკული სასიცოცხლო ინტერესების ზონები, არასამთავრობო ორგანიზაციების გრანდიოზული მსოფლიო ქსელი, ათასი ჯურის ამერიკული ინსტიტუტები, ღრმად – ეგოისტური, შორს გამიზნული, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, დემოკრატიის მაღლა ატაცებული ყბადაღებული ლოზუნგით სხვათა ცხედრებზე მავალი.

და მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანას ჰყავს მოკავშირეები, სტრატეგიული პარტნიორები, გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე მის მეტოქეს, თუნდაც ჩინეთს ან რუსეთს. მეტოქეებიც კი, დროდადრო, უარს არ ამბობენ აშშ-თან პარტნიორულ ურთიერთობებზე, რაც მთელი რიგი ფაქტორებითაა გამოწვეული, უწინარესად ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიის მოპოვების მიზნით.

აშშ ის ქვეყანაა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს მსოფლიოს ტვინებს, განსაკუთრებით ჩინეთიდან, რუსეთიდან, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიიდან, ევროპიდან და ა.შ. მათი ნაღვაწი – გონებრივი შრომის ნაყოფი, როგორც ამერიკული ბრენდი, ეფინება მთელს მსოფლიოს.

აურაცხელი რაოდენობის რუსი მეცნიერი გადავიდა აშშ გასული საუკუნის 90-იან წლებში. პროცესი დღესაც გრძელდება.

მსოფლიო საფინანსო არენაზე აშშ-ის გარეშე შესაბამისი ადგილის დაკავება შეუძლებელია. მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი მთავარი მაკონტროლებელი ორგანოებია. ერთი სიტყვით, არ არის დარგი, სადაც აშშ-ს არ ჰქონდეს ჩაყოფილი ცხვირი. და მიუხედავად ტოტალური ამერიკული მონიტორინგისა, მსოფლიოს ქვეყნები მეტნაკლებად ახერხებენ, შეინარჩუნონ საკუთარი სუვერენიტეტი, თავი აარიდონ ამერიკის ქვეშევრდომობას, მით უმეტეს ლაქიობას. სამწუხაროდ, ასეთთა რიგში საქართველო არ არის.

დამოუკიდებლობის მიღების და ამ ქვეყანასთან 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, მოსკოვის ორბიტიდან თავდაძვრენილმა საქართველომ ამერიკულ ორბიტაში ამოყო თავი, რითაც საკუთარი ქვეყნის ცხოვრების მცირედი ნიუანსებიც კი ჰეგემონს მიანდო.

საქართველო უნიკალური არ ყოფილა პოსტსაბჭოთა სივრცეში. მსგავსი ნაბიჯები გადადგა ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, მაგრამ არის განსხვავებაც – თუ ბევრი მათგანი, განსაკუთრებით რუსეთი, მიხვდა ამერიკულ მზაკვრულ გეგმას და შორს დაიჭირა მისგან თავი, საქართველო განუხრელად აგრძელებდა და აგრძელებს ვესტერნიზაცია-ამერიკანიზაციას, რამაც აღქმული სიკეთე ვერ მოუტანა ქვეყანას.

ალბათ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, წინა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბებულ ერთობ დამამცირებელ ურთიერთობას ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორთან, ადგილი აღარ ექნება. საქართველომ უნდა გაიზიაროს სკანდინავიის ქვეყნების, განსაკუთრებით ფინეთის მაგალითი.

ის, რაც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში იყო საქართველოში, აღვირახსნილობად, დანაშაულად უნდა შეფასდეს. და ამ საშინელებაში დიდი წვლილი სწორედ სტრატეგიულმა პარტნიორმა შეიტანა. ერთხელ სააკაშვილმა ბრძანა – ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც არ გვეუბნება, ეს გააკეთე და ეს არაო, ამით ის განსხვავდება ჩრდილოელ მეზობლისგან, რომელიც მხოლოდ საწინააღმდეგოდ მოქმედებდაო.

ცხადია, სააკაშვილი საკმაოდ ნორჩი იყო, როდესაც საბჭოური ცხოვრება სუფევდა და, ამდენად, მოსკოვის ჩარევის თაობაზე მან მშობლებისგან იცის. ის, რაც მაშინ იყო, სულ სხვაა. მაშინ ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი იყო და რესპუბლიკებისთვის საერთო ჯიბიდან განაწილებული ფული მკაცრად კონტროლდებოდა.

თავისუფლებამ დამოუკიდებელ ქვეყნებში რაც მოიტანა, პოსტსაბჭოეთები მყავს მხედველობაში, ხელისუფლების უკონტროლობაა. ამ მხრივ, სხვებთან შედარებით, სარეკორდო მაჩვენებლები აქვს საქართველოს – ბიუჯეტის გაუმჭვირვალობით, ე.წ. პრეზიდენტის ფონდის საიდუმლოებით, უცხოური ვალებით, მყვირალა და ქვეყნისთვის მიუღებელი შეუფერებელ პროექტებში ფულის ხარჯვით.

ხელისუფლებაში თითო-ოროლა კაცის გარდა არავინ იცოდა, ვინ რამდენს გვაძლევდა და მოცემული რაში იხარჯებოდა. თვით მომცემი, ვთქვათ, აშშ არ ინტერესდებოდა, სად და რაში მიდიოდა მათი ფული. ხომ არ ნიშნავდა ეს ლპობისათვის გამწესებას? გარდა ამისა, საზოგადოებისთვის ცნობილია ე.წ. „ატკატების“ სისტემა. ის მეტად დამახასიათებელია ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებისთვის, რამეთუ ამ ქვეყნებში უმდაბლეს დონეზეა სამოქალაქო საზოგადოება, სამართალი, ხელისუფლების მიმართ საზოგადოების კონტროლი.

საქართველომ 2008 წლის ავანტიურისტული ომის შემდეგ აშშ-სა და ევროკავშირისგან 4.5 მილიარდი დოლარი მიიღო – პატარა ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი თანხა, მაგრამ იცის ქვეყანამ, რაში დაიხარჯა ის? ჩემი აზრით, სესხის ან გრანტის გამ-



ცემი ქვეყანა მკაცრად უნდა აკონტროლებდეს მიმღების მიერ თანხის ხარჯვის პროცესს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამცემ-მიმღების მიმართ საფუძვლიანი ეჭვი დაიბადება. სააკაშვილის არ იყოს, რა სჯობს თავისუფლებას.

**საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლიდან 9 წელი სააკაშვილისა და მისი გუნდის კეთილდღეობას გადაჰყვა, ისეთს, რასაც არაბი შეიხებიც რომ ინატრებდნენ. ქვეყანა კი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა – გაღატაკებული, დაავადებული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი, ცოცხით გაუპატიურებული ხალხით. ვის სჭირდება გზა, თუ მასზე გავლა არ გახარებს. ვის სჭირდება ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ან საავადმყოფო, სადაც ვერასდროს იცხოვრებ ან იმკურნალებ?**

25 წლის წინანდელი წარმატებული საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის მაჩანჩალა ქვეყანაა – ჩამოჭრილი ტერიტორიებით, 21-ე საუკუნისთვის შეუფერებელი ბატონ-ყმური სისტემით, ერთი მუჭა მდიდრებით და აურაცხელი ღარიბებით, უფრო სწორად სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობით.

ასეთ ვითარებაში ადამიანი რომ იტყვის – პირველი ოქტომბერი ქვეყნისთვის უკან გადადგმული ნაბიჯიაო – ან სულელია ან ჩვენ გვასულელებს, თუმცა ბენდუქიძის სისულელეების ამბავი ყველამ კარგად იცის, მაგრამ მარტო ცოდნა არაფერს იძლევა. ნაცთა უპირველეს მხარდამჭერს შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან მასაც ისე, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, „საამური“ ცხრაწლიანი ციკლისთვის ღამეები აქვთ ნათევი.

ბენდუქიძისნაირი, სამწუხაროდ, უხვადაა ამ ქვეყანაში. ამას წინათ „მაესტროს“ ეთერში ნაცთა თავგადაკლული გულშემატკივარი ქალბატონი ორჯონიკიძე, რომელიც არჩევნებამდე პირზექაფმორეული, ქოქოლას აყრიდა მთავარ ოპოზიციას, აცხადებდა, რომ დამშვიდდა, ვინაიდან გაიგო, რომ „ოცნებას“ ისეთივე დასავლური ვექტორი აქვს, როგორც ნაცებს. ქალბატონმა ისიც თქვა – სააკაშვილის წვლილი ქვეყნის აშენებაში ძალიან დიდია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ჩაიბარა გამართული ქვეყანა და არა ისეთი, როგორიც ნაცებს დახვდათ.

ის, რომ შევარდნაძის გუნდმა, რომელშიც ჭარბი აქტიურობით ახალგაზრდა „მოქალაქეები“ გამოირჩეოდნენ, ვერ შეძლო ქვეყნისთვის თუნდაც მინიმუმის გაკეთება, ცნობილი ფაქტია. მაგრამ ცხრაწლიანი ნაცთა ბატონობის პერიოდი რომ დამღუპველი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, ესეც ფაქტია.

რა თავში იხლის დაბეჩავებული, ტერიტორიებდაკარგული ნატოს ან ევროატლანტიკურ სივრცეს, თუკი შია და სწყურია, თუკი ცოცხითაა გაუპატიურებული, თუკი ქონებას ართმევენ და თან აყვირებენ – რა ბედნიერებაა ქონების ჩამორთმევაო?

რატომ ჰგონია ქალბატონს, რომ დიდ მეზობელთან ურთიერთობა მონობაა, ხოლო აშშ-თან – თავისუფლება? იქნებ ეკითხათ დსთ-ს ნებისმიერი წევრი ქვეყნისთვის, არიან თუ არა ისინი რუსეთის მონები? ამ და მის მსგავს „პატრიოტებს“ სიტყვაც არ დასცდენიათ იმ განუკითხაობის თაობაზე, რაც ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა და რამაც ქვეყანა ფეოდალურ ხანაში დააბრუნა.

გასაოცარია თვით ნაცთა ბელადის რიტორიკაც. ბუქარესტში გამოსვლის დროს მან აღნიშნა, რომ ქვეყნის დემოკრატიისთვის ორი ხელისუფლების ცვლა მაინც არის საჭირო. კეთილი, მაგრამ რა ვუყოთ მის გუშინდელ მტკიცებას, ნაცთა ხელში საქართველოს გადემოკრატების თაობაზე? გამოდის, რომ გვატყუებდა.

სააკაშვილმა კვლავ გაიხსენა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი და თქვა, რომ ქართველმა ამომრჩეველმა არ დაუჯერა მის რჩევას წარსულში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დიახ, წარსული დაბრუნდა – ასე თვლის მიხეილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, „დემოკრატმა“ სააკაშვილმა წინააღმდეგობა კი არ გასწია, არამედ გზა დაუთმო არჩევნებში გამარჯვებულს.

**მან ისიც აღნიშნა, რომ გამარჯვებულებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ წასვლა ავიწყდებათ. და ამას აცხადებს სააკაშვილი – კონსტიტუციის შემცვლელი, პრეზიდენტობიდან პრემიერობაზე გადასვლის მსურველი, პრემიერ-მინისტრის ახალი რეზიდენციის მშენებელი (ათონელის 25, ყოფილი აშშ-ის საელჩო). ა.წ. ზაფხულს შენობა ძირფესვიანად გამოქუთნეს და ფაქტობრივად ახალი შენობის შენება გააჩაღეს – ახალი პრემიერ-მინისტრის ანუ სააკაშვილისთვის. საბედნიეროდ, არ დასცალდა.**

ნაცთა ადგილობრივ გულშემატკივართა განცხადებებთან ერთად ყურს ჭრის ნაცების უცხოელი მაღალჩინოსან გულშემატკივართა განცხადებებიც. ყველა ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ სააკაშვილმა ხუთიანზე ჩააბარა ძალაუფლების გადაცემის პროცედურა, რითაც ის ნამდვილ დემოკრატად წარმოჩინდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ნაცთა დამარცხებით ნირწამხდარი ევროატლანტიკური სივრცე დაბეჯითებით გაჰყვირის საქართველოს დემოკრატიულობაზე და ყოველივეს ნაცთა დამსახურებად მიიჩნევს.

ასეთი დასაფასებელია, მოსაფერებელია. მისი შევიწროება, მით უმეტეს დასჯა, დაუშვებელია. აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები ბევრს ილონებენ ნაცთა და მათი ბელადის გადასარჩენად, ხელშესაწყობად და სამომავლოდ ხელისუფლებისთვის საბრძოლველად მოსამართად. საჭიროა პირველი შეტევის მოგერიება, შემდეგ ვითარება თვით მოგვარდება, ასე თვლიან ისინი.

„აშშ-ის მსოფლიო პირველობა უნიკალურია თავისი მასშტაბებით და ხასიათით. ეს ახალი სახის ჰეგემონიაა, რომელიც დამახასიათებელია აშშ-ის დემოკრატიული სისტემისთვის. ის პლურალისტური და მოქნილია. ეს ჰეგემონია ყალიბდებოდა ერთ საუკუნეზე ნაკლებ პერიოდში და მისი გეოპოლიტიკური გამოვლინების ნიშანი არის აშშ-ის უპრეცენდენტო როლი ევრაზიის კონტინენტზე, სადაც დღემდე თავს ჰყოფენ მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტები.

დღეს, ამერიკა გამოდის ევრაზიის არბიტრის როლში. არ არის არც ერთი მსხვილი ევრაზიული პრობლემა, რომელიც ამ ქვეყნის გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ წყდებოდეს“, – წერდა ზბიგნევ ბჟეჟინსკი.

და მართლაც, აშშ-ის გარეშე თითის განძრევაც შეუძლებელია, განსაკუთრებით ისეთი პატარა და სუსტი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ნაცთა ფანების გასაგონად – ჰქვია ამას დამოუკიდებლობა?

აშშ საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორია“, ხშირ შემთხვევაში ხელის გამმართავი, თუმცა ხელის გამართვა უანგაროდ არ ხდება. ის შენგანაც მოელის დახმარებას, დავალების შესრულებას. და საქართველოც ასრულებს ამ ერთობ არასასიამოვნო დავალებას – ავღანეთში საზარბაზნე ხორცის გაგზავნით, რუსეთის საწინააღმდეგო, საჯაშუშო პლაცდარმის შექმნით, ანტირუსული ქმედების განხორციელებით და სხვა არასაშური, უხამსი ქმედებით.

კარგა ხანია საქართველო, ამერიკელთა წყალობით, ჩართულია ანტირუსულ კამპანიაში – როგორც ვერბალურში, ისე პრაქტიკულში. რუსეთის და არა მარტო რუსეთის ტერიტორიაზე დივერსიული მოქმედებების დაგეგმვა, ანტისახელისუფლებო მიტინგებისა და დემონსტრაციების ორგანიზება ნაციონალური ხელისუფლების მთავარი საზრუნავი იყო.

ის ზედმიწევნით კარგად ასრულებდა სტრატეგიული პარტნიორის შეკვეთებს. ჰეგემონობის განმტკიცებისთვის აშშ არა მარტო ღია მეთოდებით სარგებლობს, არამედ დახურულით, რაც არ არის გასაკვირი, მაგრამ გასაკვირია პატარა სახელმწიფოს დიდზე აყოლა, ვინაიდან ასეთი უდავოდ დაისჯება და დაისჯება იმაზე მკაცრად, ვიდრე 2008 წლის აგვისტო.

დასჯის პროცესში, ისე, როგორც 2008 წელს, სტრატეგიული პარტნიორი ვერბალურ წუხილს გამოთქვამს. სხვაგვარი მოქმედება მსოფლიო ბირთვულ ომს ნიშნავს. რაზეც გამძლარი ამერიკა არ წავა.



**აღნიშნულიდან გამომდინარე – გადაჭრით უნდა ითქვას, რომ საქართველოს დიდთა პოლიტიკაში არაფერი ესაქმება. ჯერჯერობით ასე თვლის „ოცნების“ ლიდერიც და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მის მიერ გაჟღერებული მოსაზრება არ შეიცვლება.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◉ ვილაპარაკოთ პიკზე

***ხელისუფლების** გადაბარებას, როგორც წესი, ბევრი თანხლები მოვლენა ახლავს. ბოლო დღეების განმავლობაში „პირველი საინფორმაციო კავკასიური“ (რუსულენოვანი) ტელეარხის გარშემო ბევრს ბჭობენ.*

*არ ვაპირებდი „პიკ“-ზე კიდევ რაიმეს დაწერას. საკმარისად მეჩვენებოდა. და აი, მაინც კიდევ ერთხელ, ვუბრუნდები ამ რუსულენოვან არხს. „პიკის“ შესახებ ქართულენოვანი მკითხველისთვის კრიტიკული სტატიების წერა ჯერ კიდევ 2011 წლის 8 ივლისიდან დავიწყე („საქართველოს რესპუბლიკა“ № 127). ბოლო მოსაზრება კი (მართალია, გაკვრით) ამავე გაზეთში ამა წლის 18 ოქტომბერს დაიბეჭდა. ამ ხნის განმავლობაში სულ ხუთი მასალა გამოვაქვეყნე და იმაზე მეტის თქმას აზრი არ აქვს. საკუთარი თავის ციტირება არასახარბიელოა, მაგრამ შემაჯამებელი სტატიისთვის, საბოლოო დასკვნისთვის, შესაფერისი და საპატიებელი მიდგომაა.*

*„რუსეთთან (მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში) მჭიდრო კავშირი გამოვიყენე – ადგილობრივი დემოკრატების დახმარებით, ერთგვარი გამოკითხვა ჩავატერე. უარყოფითი, სკეპტიკური და მეგობრულ–კრიტიკული შეფასებები უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ნეიტრალური და დადებითი ერთად აღებული. ვინაიდან ბევრი შემეხმიანა, მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ მაგალითს იმ ადამიანების შეფასებებისა, რომლებიც საქართველოს თანაუგრძნობენ“.*

# დემოკრატიული „ყოველწუთიერი“ მტკიცებულება

„...სუსტია – თავისებურად რაღაც თამაშს ჰგავს, როდესაც პარტნიორს თავაზიანად მოაგებინებ. RTVI-იას მისაბაძია, რაც ნიშნავს მიკერძოების და ანგაჟირების არარსებობის შეგრძნებას, იმის მიუხედავად თუ ვინ ზის სტუდიაში (იქ კი ბევრნი სხედან – ალბაციდან დაწყებული და პროხანოვით დამთავრებული)...“

„...არ შეიძლება ასეთი ახალი ამბების და პოლიტიკური თოკშოუების რუსებისთვის ჩვენება – ეცინებათ...“.

„...ისეთ იმედს ვამყარებდი ამ ახალი სატელევიზიო არხის გამოჩენით – მეგონა დიდი საქმე გაკეთდებოდა: საქართველოს მეტი გულშემატკივარი გამოუჩნდებოდა. კია ძველ არხზე ოდნავ უკეთესი, მაგრამ თავის საქმეს მაინც ვერ აკეთებს...“.

„...არხი „პიკი“ დაუფარავად შეკვეთილი, მეტად სუსტი, პროპაგანდისტულ „მყვირალაა“ – დასანანია...“.

„...კარგი, იყო „პირველი კავკასიური“ და გახდა „პიკი“ – მერე რა? ოდნავ გაკრიჭეს, დავარცხნეს, ფერუმარილი წაუსვეს... ძირითადში ყველაფერი ისევ-ისეა – სუსტია – რუსებთან ასე მუშაობა არ შეიძლება...“

„...აშკარაა, რომ არხზე „ბლატით“ მოყვანილთა რიცხვი სჭარბობს. ამას დილის გადაცემებზე ვამბობ... და ძნელადაა დასაჯერებელი, რომ ნორმალური ანალიტიკოსების და პოლიტოლოგების პოვნა შეუძლებელია... თანაც მათ სვამენ კაფეში დეკორატიული სტატისტების ფონზე – უნიჭო საბჭოური თვითშემოქმედებაა...“.

„რუსულენოვანი არხის მაუწყებლობა აშკარად წაიკოჭლებს იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით (შიდა პოლიტიკის მიკერძოებულ-ცალმხრივი გაშუქება, ქართულ-რუსული პრობლემებისადმი ზედაპირული მიდგომა).

* * *

პიკ-ის გადაცემების ფორმა და სტილი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს (სადადგმო ხარისხი და სხვა);

„რედაქცია ვერ ახერხებს მკვეთრად განასხვავოს ის, რაც რუსეთის მაყურებელს დააინტერესებს, დაამახსოვრდება და, რაც გადამწყვეტია, მისცემს სტიმულს, სხვასაც გაუზიაროს ეს ინფორმაცია. რაც შეეხება არხის მიერ დეკლარირებულ „თავისუფალი სიტყვის ღია




ტრიბუნას“ – მიამიტობაა, რომელიც მაყურებელში ღიმილს იწვევს. სკეპტიკოსები ყოველთვის არსებობენ, მაგრამ მათი რიგების შესამცირებლად სულ სხვა სარედაქციო პოლიტიკაა გასატარებელი. დღევანდელი მოუქნელი ტაქტიკა კი მხოლოდ პროვინციალიზმის და სუსტი პროფესიულობის კიდევ ერთი ნიშანია“.

„რაც შეეხება შიდა თუ საგარეო პოლიტიკას – ტონალობა ინდიფერენტულია, რაც სრულიად არ ნიშნავს მიუკერძოებას ან ობიექტურობას. ინდიფერენტულობა, როგორც წესი, გულგრილობის, ან დაბალი პროფესიონალიზმის, ან გადამეტებული თვითცენზურის მანიშნებელია – ეს კი მაყურებლის დაფრთხობის ან სულაც მისი ჩამოცილების საშუალებაა. რაც შეეხება გასართობ (მაგალითად დილის გადაცემებსძ, ისინი მართლაც დასაწუნია: მდარე ხუმრობები და ნაძალადევი მხიარულება...“.

არხს „სტუმრობდნენ ალექსეი ვენედიქტოვი და მატვეი გონოპოლსკი, ხოლო მასპინძლობდნენ მიხეილ თავხელიძე და ოლეგ პანფილოვი... დავიწყებ თავხელიძის რეპლიკით, რომელმაც დაასრულა „დაადგვირგვინა“ გადაცემა: „...რეფორმებს ატარებს არა ხელისუფლება, არამედ თვით ხალხი...“. არ ვიცი, სიზრიყვით წამოსცდა თავხელიძეს ეს, თუ დემაგოგიისადმი მიდრეკილების მიზეზით – ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, რომ ეს გამონათქვამი იყო პრინციპულად მცდარი და პოლიტიკურიდეოლოგიურად მავნე – აღიქმებოდა როგორც ხელისუფლებისთვის გაწეული „დათვური სამსახური“.

რეფორმებს ყოველთვის ქმნის და ატარებს ხელისუფლება. ზოგადად მოსახლეობა ყოველთვის შინაგანად კონსევატიულადაა განწყობილი – დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს – ეს მისი ბუნებაა. სტატისტიკურად უმნიშვნელო, მიზერულ ნაწილს ესმის რეფორმების სტრატეგიული არსი და შეგნებულად იზიარებს მათ... ყველას მშვენივრად ესმის და მოგზაურებულიც აქვს საბჭოების დროინდელი იდეოლოგიური ყაყანი, რომელიც თავხელიძემ უადგილოდ და უტაქტოდ გაიხსენა. რეფორმებს სჭირდება ახსნა, მათი დადებითობის მტკიცება და მხოლოდ მათი დამკვიდრების, საზოგადოების მხრიდან დადებითი შეფასების შემდეგ შესაძლებელია იმის მორიდებით თქმა, რაც თავხელიძემ იკადრა.

„არხი ემსახურება რუსეთთან სინფორმაციო ბრძოლას და ამას ასრულებს ერთობ სუსტად – ეს ის დონე არაა, თვალში გეცემა აშკარა პროვინციალიზმი და უსუსურობა. მეორეც, და ეს პრინციპულია, იგი ვერ ამართლებს თავის უმთავრეს დანიშნულებას: იყოს მთავარი, მიუკერძოებული, ავტორიტეტული მედიაინფორმატორი მთელი რეგიონისთვის. ის ხომ პირველი და კავკასიურია! მაუწყებლობა საჭიროა თანაბარი ხარისხით რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. მოვლენები უნდა გაშუქდეს ყველა ადგილიდან: რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდანაც. კავკასიური რეგიონის მცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა უმზირონ არამხოლოდ უსმინონ „პიკს“ ისე, როგორც ოდესღაც სსრ კავშირში უსმენდნენ „ამერიკის ხმას“ და „თავისუფლებას“...

იყო მთავარი, მიუკერძოებული, მედიაინფორმატორი მთელი რეგიონისთვის – საპატიო სტატუსია და, ამავე დროს ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო პოლიტიკური უხერხულობის მიზეზიც. ეს ნებისმიერი დემოკრატიის თანხლები რამაა – დემოკრატიულობის ერთგვარი „ყოველწუთიერი“ მტკიცებულებაა.

**მალხაზ ჟვანია,**
*ექსპერტი საინფორმაციო პოლიტიკის საკითხებში*

◉ მამული ჩვენი

# ვარძიის რესტავრაცია იწყება

(მესამე გვერდიდან)

**„ოთხი წლის თავზე ზუსტად გვეცოდინება, რა მეთოდით, როგორ და რანაირად უნდა ვიმოქმედოთ, რა სჭირს ძეგლს, რამ დააზიანა და მხოლოდ ამის შემდეგ შეირჩევა საკონსერვაციო მასალები. ფრესკების კონსერვაციაა დაგეგმილი, მოხატვას არ ვაპირებთ. ჩვენი სურვილია, მე-12 საუკუნის ფრესკები ისეთნაირად შევინახოთ, როგორც ჩვენამდე მოაღწია,“** – აღნიშნა კუპრაშვილმა.




მისი შეფასებით, ვარძიაში მძიმე მდგომარეობაა, განსაკუთრებით კი – კამარებში, რადგან რესტავრაცია დიდი ხნის წინ არის ჩატარებული.

**„წარმოიდგინეთ, 50 წლის განმავლობაში რამდენი მიწისძვრა მოხდა, ამან ყველაფერმა იმოქმედა. ჯერ მარტო მტვერი ისეთი რაოდენობითაა, რომ დიდხანს დარჩენილ მტვერს ძალიან მყარი აპკი უჩნდება“,** – აცხადებს სპეციალისტი.

**მისივე განმარტებით, ვარძია, როგორც კომპლექსი, არა მარტო მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია, არამედ მისი ფრესკების უნიკალურობა სწორედ ისაა, რომ საქართველოში სულ რამდენიმე ადგილასაა ასეთი რანგის მხატვრობა – ატენისა და ყინწვისის ტაძრებში. სწორედ ვარძიაშია თამარის გამოსახულების ერთ-ერთი პირველი პორტრეტი. ამასთან, აშკარაა, რომ ვარძიაში რამდენიმე მხატვრის ხელი გაირჩევა. სავარაუდოდ, ერთ ძირითად მხატვარს შეგირდები ახლდა და ორი-სამი მხატვარი მუშაობდა ამ ფრესკებზე. რაც მთავარია, ვარძიის ფრესკები თავიდან ბოლომდე ქართული სკოლის მიღწევებს გამოხატავენ.**

**„ვარძიის შესწავლა ინტერდისციპლინურია და ამას ვერ გამოიკვლევს მხოლოდ რესტავრატორი ან ქიმიკოსი. ამ პროცესში მრავალი დარგის სპეციალისტია ჩართული. თანაც, სჭირდება ისეთი ტექნიკა, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია და სხვაგან კეთდება“,** – აცხადებს ნანა კუპრაშვილი.

მანვე ვერ დააკონკრეტა, თუ რა დაჯდება აღნიშნული სამუშაოები, მაგრამ განაცხადა, რომ თანხის გამღები ნაწილობრივ ქართული მხარეა, ნაწილობრივ – თვითონ ლონდონის კურტოს ინსტიტუტი. სწორედ მათი მოძიებულია თანხები და, ჯამში, უფრო იაფი ჯდება, რადგან კონსერვაციისთვის საჭირო თითო ანალიზი ძალიან ძვირია და იგი საქართველოში არ კეთდება.

**მარიამ ლოლაშვილი**

◉ პატრიარქის შუამდგომლობით

## ცოტნე გამსახურდია პატიმრობიდან გაათავისუფლეს

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, ცოტნე გამსახურდია პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამსახურდიას ადვოკატ ქეთი ბექაურის ინფორმაციით გამსახურდია მიხეილ სააკაშვილმა პატრიარქის შუამდგომლობის საფუძველზე შეიწყალა.**



**მისივე განმარტებით, ილია მეორემ პრეზიდენტს შუამდგომლობით 28 სექტემბერს მიმართა და, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, პატიმრობიდან მისი გათავისუფლება სთხოვა.**

**მიხეილ სააკაშვილმა პატრიარქის შუამდგომლობა გუშინ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც გვიან ღამით გამსახურდიამ სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა.**

**ცოტნე გამსახურდია აცხადებს, რომ მისი საქმის გადახედვის მოთხოვნით შესაბამის ორგანოებს მიმართავს.**

**„მოვითხოვ იმ ე.წ. ჩანაწერების გადახედვასაც, რომლებიც 7 ნოემბრის მოვლენებს უკავშირდება და რომლებთან დაკავშირებითაც სასამართლო პროცესი ამ დრომდე არ ჩატარებულა, რადგან არ არსებობს არავითარი მტკიცებულება“, – აღნიშნა გამსახურდიამ.**

**ცოტნე გამსახურდია სამართალდამცველებმა 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. მას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 13-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. გარდა ამისა, მას რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირშიც ადანაშაულებდნენ.**

ინტერპრესი

## უსამართლო სამართალი

**„ეი-ეს თელასის“ კომერციული ექსპერტის, კომპანიის ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობისთვის მსჯავრდებული, უვადო პატიმრობაში მყოფი გია გვიჩიანი დაკავებამდე და დაკავების შემდეგ სკანდალურ დეტალებზე საუბრობს. რით უკავშირდება მის საქმეს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის დაკავება? რას თხოვდნენ მას ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ და ვინ დაგეგმა გია გვიჩიანის პირველი და მეორე დაკავება, ამაზე №6 სასჯელარსრულების დაწესებულებაში მყოფი გვიჩიანი ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრს, „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტს ესაუბრა.**

# გია გვიჩიანის ახლართულ-ჩახლართული საქმე

## რა კავშირი აქვთ გია გვიჩიანის დაკავებასთან ავთანდილ ჯორბენაძეს, ნიკა გილაურს, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილსა და ერეკლე კოდუას?

როგორც გვიჩიანი ყვება, თავდაპირველად ლომინაძის მკვლელობის შემდეგ, 2003 წელს „თელასისთვის“ ზიანის მიყენების ბრალდებით დააკავეს, ხოლო დაკავება „ენერგომაფიასთან“ დაახლოებულმა ავთანდილ ჯორბენაძემ დაგეგმა.

**„სულ „თელასში“ 8 წლის განმავლობაში ვიმუშავე, საიდანაც 5 წელი მომიწია, დავპირისპირებოდი ქართულ ენერგომაფიას. მის შემადგენლობას არ ვასახელებ, რადგან ვაპირებ, რომ აქედან გამოსვლის შემდეგ მათ სასამართლოში ვუჩივლო. „თელასს“ მაშინ ამერიკელი ხელმძღვანელობა ჰყავდა და ქართველებიდან ერთადერთი მე ვიყავი, ვისაც ამ მაფიასთან შეხვედრა შეეძლო. მასში, რა თქმა უნდა, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები იყვნენ, რომლებიც დღესაც აკონტროლებენ ქართულ ენერგეტიკას.**

**როდესაც ამერიკელებმა წასვლა გადაწყვიტეს, მაფიის წევრები გამწარებული მყავდა. კერძოდ მათი გამოწვეული იყო უშუქობა საქართველოში მაშინ, როდესაც თურქეთში იყიდებოდა ელექტროენერგია. ანკარაში მე თვითონ შევესწარი, თუ როგორ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ამ ფაქტს ჩემთან ერთად „თელასის“ ერთ-ერთი უცხოელი მენეჯერიც შეესწრო. სწორედ ამის საფუძველზე შეუკვეთეს ჩემი თავდაპირველი დაპატიმრება, რომელიც მოხდა 2003 წელს 3 დღით. ბრალად წამიყენეს, თითქოს მე „თელასს“ ზიანი მივაყენე 2,5 მილიონი ლარით.**

**სხვადასხვა სატელევიზიო არხებმა გააკეთეს სიუჟეტები, რომ მე შეიძლება კავშირი მქონოდა ლომინაძესთან. ისინი სვამდნენ კითხვას იმის შესახებ, ჩემი დაპატიმრებით ლომინაძის საქმე ხომ არ გაიხსნებოდა? ეს შეიძლებოდა პროკურატურიდან ყოფილიყო მიწოდებული. ეს კადრები ნანახი ჰქონდა მთელს საქართველოს, მათ შორის — ნოდარ გვიჩიანს, რომელიც ჩემი მხოლოდ მოგვარეა და ათას საშინელებას აკეთებინებდნენ მას. „თელასის“ მფლობელმა ამერიკელებმა სასამართლოს მიმართეს, რომ მე მათთვის არანაირი ზიანი არ მიმიყენებია და,. შესაბამისად. სასამართლომ გამათავისუფლა. პროკურატურამ ეს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლო 2003 წლის 19 ივლისს ჩაინიშნა. 17 ივლისს კი მაშინდელმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ჩაატარა მთავრობის სხდომა, სადაც განიხილებოდა ერთადერთი საკითხი — ჩემი ხელახალი დაპატიმრება. აქედან ვასკვნი, რომ ჩემს დაპატიმრებას ავთანდილ ჯორბენაძემ გაუწია ორგანიზება. ეს ინფორმაცია მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა მომაწოდა, რომ ჯორბენაძემ პირდაპირ დაავალა გენპროკურორსა და შს მინისტრს, რომ ამ დაპატიმრებას აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მოსამართლისთვის უნდა დაერეკათ და მე ხელახლა დავეპატიმრებინე. ავთანდილ ჯორბენაძე პირადად იყო ახლო ურთიერთობაში ენერგომაფიასთან. ვასკვნი, რომ ის მათ დაკვეთას ასრულებდა, თორემ სად გინახავთ მთავრობა იკრიბებოდეს კერძო თანამშრომლის დასაპატიმრებლად“,** — ამბობს გვიჩიანი.

**კითხვაზე, თუ რა კავშირი აქვს სულხან მოლაშვილის დაკავებას გვიჩიანის საქმესთან, გია გვიჩიანი პასუხობს:**

— ჩემი პირველი დაკავებისას, პროკურატურამ „თელასიდან“ მთელი ფინანსური დოკუმენტაცია წაიღო. „თელასს“ მაშინ ურთიერთობა 300 კერძო კომპანიასთან ჰქონდა. ყველა დაიბარეს პროკურატურაში და ფინანსურმა პოლიციამ შეისწავლა კომპანიების საქმიანობა. ამას უკავშირდება სულხან მოლაშვილის დაპატიმრებაც. კერძოდ, დოკუმენტების წაღების შემდეგ ყველა კომპანია შეამოწმა ფინანსურმა პოლიციამ. ერთ-ერთი ორგანიზაცია იყო საბითუმო ბაზარი და აღმოჩენილი დარღვევების გამო, დააკავეს მისი დირექტორის მოადგილე ნატროშვილი. ეს საბითუმო ბაზარი მანამდე შემოწმებული ჰქონდა კონტროლის პალატას. წავიდნენ კონტროლის პალატაში და დააკავეს სულხან მოლაშვილი, მისი მოადგილე და კიდევ სხვა თანამშრომლები. მთავარი არის ის, რომ ნიკა ლომინაძის მკვლელობიდან წავიდა და მკვლელობის ნაცვლად სულ სხვა საკითხებით დაკავდა პროკურატურა“, — ამბობს გვიჩიანი.

სამ დღეში როგორც თავად გვიჩიანი ამბობს, ის გაათავისუფლეს, თუმცა მის მიერ ნახსენები „ენერგომაფიის“ წარმომადგენლები კიდევ ცდილობდნენ მის დაკავებას და ეს იგეგმებოდა.

2006 წელს, როგოც მსჯავრდებული ყვება, მისი კიდევ ერთი დაკავება მზადდება, რომელშიც ჩართულია უკვე



მაშინდელი ხელისუფლება, — ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, ახლანდელი თბილისის მერი — გიგი უგულავა და ყოფილი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი მაშინდელი სოდ-ის უფროსთან, ერეკლე კოდუასთან ერთად.

**„2006 წელს ნოდარ გვიჩიანი დააპატიმრეს. მან შეთხზა ისტორია, მოიგონა, რომ თვითონ შუამავალი იყო ჩემი შეკვეთილი მკვლელობისა და თავის 3 ნაცნობს — ნიკა ჩემიას, ავთანდილ ხერკელაძეს და გია პაპაჩაშვილს დააბრალა ლომინაძის მკვლელობა. ასევე, თურქეთის მოქალაქის მკვლელობა. მან გამოიყენა საპროცესო შეთანხმების მანკიერი ფორმა და თვითონ თავი დაიძვრინა ნარკოტიკების გაყიდვის ბრალდებისგან. ლომინაძის მკვლელობის ადგილიდან დნმ-ის ნიმუში იყო აღებული, თითის ანაბეჭდი, თმის ბეწვები და სიგარეტის ორი ნამწვი. ერთი ლომინაძის მოწეული იყო და მეორე სხვა, უცნობი ადამიანის. ყველა ეს მასალა დნმ-სთვის აშშ-ში გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიაში გაიგზავნა და დღემდე იქ ინახება. გამოძიებამ პირველ ეტაპზე დააპატიმრა 3 ე.წ. შემსრულებელი. აუღო მათ დნმ-ის ნიმუშები და 2006 წლის 6 იანვარს გააგზავნა აშშ-ში შესადარებლად. თუ დნმ-ის პასუხი დადებითი ჩამოვიდოდა, ნოდარ გვიჩიანი მართალი იყო და მე დამაპატიმრებდნენ, მაგრამ 28 იანვარს მოხდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არასწორად გაეხსნა სანდრო გირგვლიანის საქმე და დაეკავებინა მხოლოდ შემსრულებლები. ხოლო შემკვეთების, მათ შორის შს მინისტრის მეუღლის ჩადენილი დანაშაული მიეჩქმალა, ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არ დალოდებოდნენ ამერიკიდან დნმ-ის პასუხებს და დაიწყეს დაკავებული 3 პირის წამება 13 თებერვალს. 3 დღეში თურქეთის მოქალაქის მკვლელობა 3-დან 2-მა აღიარა, მაგრამ ლომინაძის მკვლელობა რაც არ იცოდნენ, რა უნდა ეღიარებინათ. მათი წამება გაგრძელდა 1 თვე. როგორც მითხრეს, ყოველღამე სპეცრაზმი მიდიოდა მათთან და მთელი ღამე სცემდნენ. 6 მარტს დააპატიმრეს გირგვლიანის მკვლელები და — არა შემკვეთები. ამავე დღეს, საღამოს დაახლოებით 18:00-19:00 საათზე დამირეკა გიგი უგულავამ, რომელთანაც სამსახურებრივი ურთიერთობა მქონდა. მითხრა, რომ მეორე დილით 11:00 საათზე დამეშვა საშვი ვინმე ჩიხლაძეზე, რომელიც, როგორც მან მითხრა, მერაბიშვილის კაცი იყო და მრიცხველთან პრობლემა ჰქონდა. მთხოვა, მიიღეო. ამ დღეს ზუსტად ვიცი, რომ საღამოს სოდ-ის მაშინდელი უფროსი კოდუა 6 საათის განმავლობაში იმყოფებოდა მერაბიშვილის კაბინეტში. 19:00 საათის შემდეგ მობილური ტელეფონი გამოვრთე, რადგან დაბადების დღე ჰქონდა ერთ-ერთ თანამშრომელს, მეპატიჟებოდა და არ მინდოდა წასვლა. ტელეფონი ღამის 23:30-ზე ჩავრთე. ვნახე, რომ ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრის ნიკა გილაურის 2 ზარი იყო შემოსული. დავურეკე და ვკითხე, რა უნდოდა. მას ხმა გაენაზა და მითხრა — არა, არა, არაფერიო. მეორე დღეს მასთან უნდა მივსულიყავი და მითხრა დილის მაგივრად საღამოს მოდიო, ანუ იცოდა, რომ დილით მაპატიმრებდნენ. 7 მარტს 11:00 საათზე კი ჩემს კაბინეტში დიდი სატელევიზიო ხმაურით დამაკავეს და საზოგადოების ყურადღება სხვა საკითხზე გადაიტანეს“,** — ყვება გია გვიჩიანი.

რა ხდება მეორედ დაკავების შემდეგ? როგორც გვიჩიანი ამბობს, სხვადასხვა შეთავაზებები მიიღო, რის სანაცვლოდაც გათავისუფლებას სთავაზობდნენ, თუმცა არც ერთს არ დასთანხმდა. ერთ-ერთი ასეთი შეთავაზება ირაკლი ოქრუაშვილისთვის მკვლელობის შემკვეთობის დაბრალება იყო.

**„პროკურატურამ დაიწყო რეალური გამოძიება. სავარაუდოდ, ჩემი დაპატიმრებიდან სამ კვირაში დნმ-ის უარყოფითი პასუხი ჩამოვიდა. იმავდროულად გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობის უშუალო შემსრულებლად ბრალდებულს, ნიკა ჩემიას ჰქონდა უტყუარი ალიბი უდანაშაულობისა და გამოძიება მიხვდა, რომ ნოდარ გვიჩიანმა ის შეცდომაში შეიყვანა. გადაწყვიტეს ჩემი გათავისუფლება და სავარაუდოდ გამომძიებლის დაპატიმრება, რომელსაც ინფარქტი მოუვიდა და საავადმყოფოში დაწვა. 3 კვირის თავზე რომ მიხვდნენ, უდანაშაულო ვიყავი, შემომთავაზეს, რომ შუამავალი ვყოფილიყავი და „თელასის“ ამერიკელი წარმომადგენელი იგნასიო ირიბარენი დამესახელებინა შემკვეთად და მე საპროცესო შეთანხმებით გამათავისუფლებდნენ. ამაზე კი ვიფიქრე, მაგრამ უარი ვთქვი. როდესაც უკვე მომისაჯეს უვადო პატიმრობა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქმე სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრე, იმ პერიოდში ჩემთან შემოვიდა ჩემი ერთ-ერთი ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე და მითხრა, რომ პროკურატურაში, სადაც სემინარებს ატარებდა, შეხვდა მაშინდელ გენპროკურორის პირველ მოადგილეს და საგამოძიებო ნაწილის უფროსს გიორგი ლაცაბიძეს (ბოლოს ის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, ახლა არ ვიცი ისევ უჭირავს თუ არა ეს თანამდებობა), რომელმაც მას უთხრა, ხომ არ ვიფიქრებდი შუამავლობა ჩემს თავზე ამეღო და შემკვეთად დამესახელებინა მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ამ ამბებიდან ერთ თვეში ოქრუაშვილი გადადგა. თუ ამას გავაკეთებდი, პირობითს მომცემდნენ და გამათავისუფლებდნენ. ამაზე უარი ვუთხარი ხაჩიძეს. 2006 წლის სექტემბერში მოხდა ეს ამბავი. რატომ ოქრუაშვილი? იმიტომ, რომ ის იყო „თელასის“ იურისტი ლომინაძის მკვლელობამდე ერთი წლით ადრე“,** — ამბობს გვიჩიანი.

რაც შეეხება „ენერგომაფიას“ როგორც გვიჩიანი ამბობს, მათ აქვთ მსხვილი ბიზნესები, რომლებსაც საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ მიხეილ სააკაშვილთან.

**„მგონია, რომ გირგვლიანის საქმის გადაფარვა იყო ჩემი დაკავების მიზეზი. სხვას ამას არაფერს არ ვუკავშირებ. ეს რომ არ მომხდარიყო არ დამიჭერდნენ“** — ამბობს გვიჩიანი.

**ხათუნა გაგნიძე**

## ბენდუქიძე — სააკაშვილის მედასტურე

# გია ჯოხთაბერიძე: „66 დღე არა გადასახადების გადაუხდელობის გამო, არამედ პირადად სააკაშვილის დავალებით ვიყავი დაპატიმრებული“

**„მაგთიკომის“ დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის განცხადებით, „იგი არა გადასახადების გადაუხდელობის გამო, არამედ 66 დღის განმავლობაში პირადად მიხეილ სააკაშვილის დავალებით დააპატიმრეს“.**

**ასე გამოეხმაურა წერილობით გია ჯოხთაბერიძე ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „პრეს პრესში“ თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებლის კახა ბენდუქიძის მიერ ჯოხთაბერიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას.**

**გია ჯოხთაბერიძის წერილობითი მიმართვა ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „სუბიექტური აზრის“ საშუალებით გავრცელდა.**

**„კახა ბენდუქიძემ თქვა, რომ მე თითქოს დაკავებული ვიყავი გადასახადების გადაუხდელობის გამო, რაც ტყუილია. გადასახადების დამალვას ადგილი არ ჰქონია, 66 დღის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის დავალებით ვიყავი დაპატიმრებული. მიშამ უცხოელ პარტნიორს განუცხადა, რომ თუ გია დიდ თანხას არ გადაიხდის, ციხიდან არ გავუშვებთო, ირაკლი ოქრუაშვილის თამადობით „მაგთიკომის“ ფინანსურ მდგომარეობას იკვლევდნენ, კანონდარღვევა ვერ აღმოაჩინეს, ამიტომ პროკურატურამ დარღვევა მოხსნა, თუმცა ციხეში ყოფნის დროს იძულებული გავხდით 15,5 მილიონი დოლარი გადაგვეხადა! გარდა ამისა, სახელმწიფომ „მაგთიკომის“ წილი 20%, ასე ვთქვათ „შეგვაწერა“, რომელიც მერე მე და ჩემმა პარტნიორმა ფირმამ სწორედ ბენდუქიძის მიერ წინასწარ მომზადებული შეთანხმებით ისევ დავიბრუნეთ 15 მილიონ დოლარად, ჯამში ჩვენ 30 მილიონი დოლარი სრულიად უკანონოდ გადავიხადეთ“, — განაცხადა ჯოხთაბერიძემ.**

**გია ჯოხთაბერიძე კახა ბენდუქიძისგან ბოდიშის მოხდას არ ითხოვს, „ეს წერილი მან უბრალოდ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გამოგზავნა“. მისივე განცხადებით, იგი სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას აპირებს.**

**შეგახსენებთ, რომ ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე 2004 წელს გადასახადების დიდი ოდენობით გადაუხდელობის ბრალდებით დააკავეს და 15 500 000 დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.**

**ნათია რუხაძე,**
„პირველი“

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ოცნება" გადამდები გამოდგა

## გამარჯვებული კოალიცია დაიმუქრა, რომ ვადამდე შეამცირებს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას

საქართველოს პარლამენტის ახალი სპიკერი დავით უსუფაშვილი დაგვპირდა, რომ მმართველი კოალიცია შეეცდება, დააჩქაროს, შევიდეს ძალაში ახალი კონსტიტუცია, რომელიც მიხეილ სააკაშვილს წაართმევს მთელ რიგ უფლებამოსილებებს. ამ დროს სააკაშვილის მომხრეთა ფრაქციაში გაჩნდნენ პირველი „გადამრბენები" მოწინააღმდეგის ბანაკში.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო ახალი ცუდი სიგნალები თავისი საკუთარი პოლიტიკური მომავლის შესახებ. წინა დღით ქუთაისში მუშაობა დაიწყო პარლამენტის ახალმა შემადგენლობამ, რომელშიც ამჟამად მმართველმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ" მიიღო 85 მანდატი, პრეზიდენტის „ერთიანმა ნაცონალურმა მოძრაობამ" კი 65.

როგორც კი დაამტკიცეს პარლამენტის თავმჯდომარედ, გამარჯვებული კოალიციის წარმომადგენელმა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა არ გამორიცხა ახალი კონსტიტუციის ვადამდელი შესვლა ძალაში, რომელიც მკვეთრად გააფართოვებს „ქართული ოცნების" ხელმძღვანელის ბიძინა ივანიშვილის მთავრობის უფლებამოსილებას, პრეზიდენტს კი, პირიქით, ამ უფლებებს შეუმცირებენ.

„მე არ გამოვრიცხავ, რომ ამოქმედდება კონსტიტუცია, რომელიც შეამცირებს პრეზიდენტის როლს. „ნაციონალები" ძალიან ამაყობდნენ საკონსტიტუციო რეფორმით. ჩვენ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა"?, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა, საქართველოს პარლამენტის იურიდიული საკითხების კომიტეტის წევრმა კობა დავითაშვილმა.

ასეთი გადაწყვეტილებისთვის საჭირო იქნება კონსტიტუციური უმრავლესობა. ესე იგი, 100 მანდატი. „ქართული ოცნება" შეძლებს კი მოაგროვოს სათანადო ხმები? აღსანიშნავია: თავად დავით უსუფაშვილის დამტკიცების დროს მან მიიღო 88 ხმა. თუმცა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" განაცხადა, რომ არ ღებულობს მონაწილეობას კენჭისყრაში. ესე იგი, პირველსავე კენჭისყრაზე მნიშვნელოვან საკითხზე ადგილი ჰქონდა ღალატს ზოგიერთი დეპუტატის მხრიდან ყოფილი მმართველი პარტიიდან გამარჯვებული კოალიციის სასარგებლოდ (კენჭისყრა იყო ფარული).

შემდეგ „მოღალატეების"



რიცხვი გაიზარდა. ხუთი დეპუტატი, რომლებიც აირჩიეს ერთმანდატიან ოლქებში „ნაციონალებისგან", ღიად აცხადებდა უარს პარლამენტის უმცირესობაში შესვლაზე. თუ ისინი კიდევ გადაიბირებენ თუნდაც ერთ დეპუტატს, მაშინ შეძლებენ ფრაქციის ჩამოყალიბებას. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გახდებიან ბიძინა ივანიშვილის აშკარა მოკავშირეები. მაგრამ მათთან მოლაპარაკება შესაძლებელი გახდება.

### „ნოემბრის ბოლოსთვის 100 მანდატს შეაგროვებენ"

„გამოსავალი იქნებოდა სააკაშვილის ვადამდელი გადადგომა, რომლის უფლებამოსილებანიც ერთი წლის შემდეგ იწურება, — უთხრა ჩვენს გაზეთს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, — მაგრამ სააკაშვილს წასვლა არ სურს. ჩემი პროგნოზით, ნოემბრის ბოლოსთვის „ქართული ოცნება" მოაგროვებს ას მანდატს. თუ დეპუტატებიდან ვინმე არ შევა პარლამენტის უმრავლესობაში, უბრალოდ მოახდენს მასთან კოოპერირებას. დარწმუნებული ვარ, რომ ამის შემდეგ „ქართული ოცნება" სერიოზულად დაიწყებს ცვლილებების შეტანას კონსტიტუციაში, შეზღუდავს სააკაშვილის სივრცეს პოლიტიკური მანევრებისთვის. უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ანათვალი სააკაშვილის პოლიტიკური საქმიანობის უკანასკნელი ეტაპისთვის".

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს საქართველოში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც აწესებს საპარლამენტო მართველობას და აძლიერებს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის უფლებამოსილებას. მაგრამ იგი ძალაში შევა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ — 2013 წლის ოქტომბერში, პრეზიდენტის ახალი არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების გადანაწილება კი მთავრობასა და პრეზიდენტს შორის საერთოდ შეიძლება მოხდეს მხოლოდ 2014 წლის 1 იანვარს. მანამდე სააკაშვილს აქვს უფლება კრიზისულ სიტუაციებში, კერძოდ, აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში ხელისუფლების სხვადასხვა რტოებს შორის, დაითხოვოს მთავრობა, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი პოლიტიკური ოპონენტების მიერ.

კონსტიტუციონალიზმის კვლევებისა და ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელმა ავთანდილ დემეტრაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ, სანამ პრეზიდენტი და პარლამენტი მოქმედებენ, ძნელია ვივარაუდოთ, გახდება თუ არა საჭირო საკანონმდებლო ცვლილებანი, რის შესახებაც ლაპარაკობს პარლამენტის თავმჯდომარე.

დემეტრაშვილმა შენიშნა, რომ „ქართულ ოცნებას" კონსტიტუციური უმრავლესობა დასჭირდება საქართველოს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის საკითხის გადასაწყვეტადაც. ეს იდეა ასევე აქტიურად განიხილება მმართველ კოალიციაში. შედეგად ექსპერტი არ არის დარწმუნებული, რომ ახლა საჭიროა, ვიჩქაროთ მრავალი სერიოზული ცვლილების შესახებ.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილს „ოცნებისა" არ სჯერა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ 1 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნება" ვერ შეძლებს თავისი ერთ-ერთი მთავარი დაპირების — მოაწესრიგოს ურთიერთობანი რუსეთთან — შესრულებას. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა დუბაიში მსოფლიო ენერგეტიკული ფორუმის შესვენებებს შორის. მთელი საქმე ისაა, მიაჩნია სააკაშვილს, რომ რუსეთს აქვს პრეტენზია „ჩვენს ტერიტორიებზე იმისდა მიუხედავად, თუ ვინ უდგას საქართველოს სათავეში".

რუსეთი წინააღმდეგი იქნება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შემოერთების მცდელობისა, თუნდაც საქართველოს სათავეში ედგეს კაცი, რომელსაც თბილი ურთიერთობანი ექნება მოსკოვთან. „მათ უმალვე თქვეს, რომ არაფრის ცვლილებას არ აპირებენ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება საქართველოს სათავეში. ეს საქართველოს ახალ მთავრობას უკვე აყენებს წარმოუდგენლად რთულ ვითარებაში", — უთხრა სააკაშვილმა ჟურნალისტებს.

სააკაშვილს მიაჩნია, რომ მერყეობამ საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით, რაც ივანიშვილს გაუჩნდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, შეიძლება დასავლელ პარტნიორებს გაუჩინოს შეკითხვები. პრეზიდენტის აზრით, ქვეყნის ერთადერთ სწორ გზად რჩება სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროპულ ინსტიტუტებთან, და რაც მთავარია — ნატოსთან. „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო პატიოსანი არჩევნების მოწყობა საქართველოში. ჩვენ ეს შევასრულეთ — არჩევნების შედეგები ნათელი დადასტურებაა ამისა და ახლა უფლება გვაქვს ვიქონიოთ ნატოს „ჯილდოს" უფლებაც", — მიაჩნია სააკაშვილს. ამის გათვალისწინებით, ნებისმიერი ეჭვი ოფიციალურ დონეზე ალიანსთან დაახლოების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ხაზს გადაუსვამს მიღწეულ წარმატებებს.

მთლიანად „ქართული ოცნება" მოდის ხელისუფლებაში რთულ პირობებში. განსაკუთრებით ეს შეეხება სიტუაციას სოციალურ სფეროში. პრაქტიკულად ყველა სტრატეგიულ და მნიშვნელოვან ობიექტზე უკვე მიმდინარეობს გაფიცვები, ანდა ემზადებიან გაფიცვებისთვის. გაფიცვები უკვე მიმდინარეობს ჭიათურის ქვანახშირის მაღაროებში და ტყიბულის შახტებში, ემზადებიან გაფიცვებისთვის თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელ „თელასში". მღელვარებანი არის არანაკლებ მნიშვნელოვან საწარმოებშიც. მუშათა კოლექტივები ყველგან მოითხოვენ ან მზად არიან, წაუყენონ ულტიმატუმი ხელისუფლებას ხელფასების გადიდებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხებში. საწარმოთა მფლობელები ამა თუ იმ მიზეზის გამო არ ჩქარობენ მსგავსი მოთხოვნების შესრულებას. ეს აქციები შეიძლება განვიხილოთ როგორც შეხსენება „ქართული ოცნებისთვის" მათი წინასაარჩევნო დაპირებებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულად დგას სიტუაცია ხსენებულ „თელასთან" დაკავშირებით: კომპანიის ხელმძღვანელობამ, რომლებიც არიან ყოფილი მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები, რამდენიმე კაცი გაათავისუფლა პოლიტიკური მოტივებით — ესენი კი არიან არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების" წევრები და მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენას.

წყარომ თბილისში ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ, მიუხედავად ხელისუფლების დეკლარირებული უპრობლემო გადაცემისა, „ნაციონალები" მაინც ახერხებენ გამარჯვებულებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. „გასაგებია, მათ უდრტვინველად გაათავისუფლეს მინისტრების კაბინეტები და ხელმძღვანელი პოსტები, მაგრამ იერარქიული კიბის უკვე მეორე-მესამე სართულზე მიმდინარეობს ძლიერი ბრძოლა. ბუნებრივია, ესა თუ ის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს წარმატებული, თუ მას ხელქვეითად ეყოლება საბოტაჟნიკები და დაუმორჩილებელი თანამშრომლებიც", — გვითხრა თანამოსაუბრემ. მისი სიტყვებით, საეჭვოდ გამოიყურება დანაშაულობათა მკვეთრი ზრდაც, რომელიც დაიწყო „ქართული ოცნების" გამარჯვების მეორე დღიდანვე.

დაპირისპირება ყოფილ და ახალ ხელისუფლებას შორის ღია ფორმით უკვე გამოჩნდა პარლამენტის პირველსავე სხდომებზე — „ნაციონალების" ფრაქცია პრაქტიკულად გაემიჯნა უმრავლესობის ყველა ინიციატივას, მხარი დაუჭირა მხოლოდ ფორმალურ ცხად პროცესუალურ პროცედურებს. როგორც მათმა წარმომადგენელმა დავით საყვარელიძემ აღნიშნა, „ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოს განვითარებას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ დავსვამთ საკითხებს იმ დაპირებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისცა „ქართულმა ოცნებამ" ამომრჩევლებს, ისინი კი დაახლოებით 50 პროცენტით ზრდიან ქვეყნის ბიუჯეტს". „ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად რეალურია ეს დაპირებები და რა ვადებში შესრულდება ისინი", — განაცხადა მან.

НЕЗАВИСИМАЯ
ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**კუჩმას ყოფილი მცველი, რომელმაც მოაწყო „საკასეტო სკანდალი", კიევის აეროპორტში დაიჭირეს**

უკრაინის სახელმწიფო დაცვის ექსმაიორი ნიკოლაი მელნიჩენკო დააკავეს „ბორისპოლის" აეროპორტში. ადრე მის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე: სხვა ბრალდებებთან ერთდა მას ბრალი ედებოდა სახელმწიფო საიდუმლოებების გაცემაში. მელნიჩენკო ძებნაში იმყოფებოდა, უკანასკნელ ხანებში იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნახეს.

* * *

**პალესტინელებმა და ისრაელებმა გაცვალეს სარაკეტო დარტყმები ღაზაში ყატარის ემირის ვიზიტის ფონზე**



ისრაელის მონაცემებით, მის მხარეს გამოუშვეს სულ ცოტა 52 ჭურვი. დაიჭრა სამი მუშა ტაილანდიდან. პასუხად ისრაელმა დაბომბა საწვრთნელი ბანაკი „ჰამასი", დაიღუპა ორი მისი წევრი. როდესაც ყატარის ემირის ვიზიტს კომენტარს უკეთებდნენ, მეთვალყურეებმა დაადასტურეს განხეთქილება პალესტინელთა რიგებში.

* * *

**კანადელმა მეცნიერებმა ბერმუდის სამკუთხედში აღმოაჩინეს „წინა ცივილიზაციის" ჩაძირული ქალაქი**




წყალქვეშა რობოტის დახმარებით ორმა მკვლევარმა შეძლო, გადაეღო ქალაქის სურათი ოკეანის ფსკერზე კუბის სანაპიროს მახლობლად. მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ჩანაწერზე აღმოაჩინეს ოთხი პირამიდა, რომელთა შექმნასაც ბუნება ვერ შეძლებდა — ისინი აუცილებლად ადამიანმა ააგო. არქიტექტურა მოგვაგონებს კლასიკურ პერიოდამდელი ცენტრალური ამერიკის კულტურას.

* * *

**მეცნიერებმა მათემატიკურად დაადასტურეს ბებიების უნიკალური როლი კაცობრიობის ევოლუციაში**

ანთროპოლოგები შეეცადნენ, შეემოწმებინათ, რა მოუვათ მაიმუნებს, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან თანამედროვე უმაღლესი პრიმატებისგან, თუ მათ საზოგადოებაში დავუმატებთ ბებიების ინსტიტუტს. მათმა ყოფნამ თითქმის ორჯერ გაზარდა მაიმუნების სიცოცხლის ხანგრძლივობა და მათს პოპულაციას მიანიჭა ზოგიერთი „ადამიანური" თვისება.



მობილური

**ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა მობილური ტელეფონი. ის ნამდვილად მეტად მოსახერხებელია და თითქმის მთლიანად შეცვალა ჩვეულებრივი ტელეფონები. თუმცა, მოსახლეობისთვის ნაკლებად არის ცნობილი ის ხიფათი, რომელიც მობილური ტელეფონის ხანგრძლივმა ხმარებამ შეიძლება ჩვენს ჯანმრთელობას მოუტანოს.**

ცნობილია, ამ სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივება ძალზე უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, იწვევს გულსისხლძარღვთა სისტემისა და ნივთიერებათა ცვლის ფუნქციების მოშლას. ელექტრომაგნიტური ველის ადამიანზე ხანგრძლივი ზემოქმედება იწვევს ტვინის და ნერვული სისტემის უჯრედების სიკვდილს ან მის კიბოს უჯრედებად გარდაქმნას.

კიბოს წინააღმდეგ მებრძოლმა მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტმა, ნეიროქირურგმა, პროფესორმა **ვინი კურანმა** გაანალიზა 100-ზე მეტი ნაშრომი და აღმოაჩინა „მნიშვნელოვანი დასაბუთება (რომელთა რაოდენობა იზრდება), რომ მობილური ტელეფონებით სარგებლობასა და ტვინის კიბოს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. პროფესორის აზრით, **ასეთი სიმსივნეები იგივეა, რაც სიკვდილის მისჯა: ის უმალ არ კლავს, მაგრამ დაახლოებით 10 წლის შემდეგ სიკვდილი გარდუვალია.**

ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ **ბავშვის ტვინი 50-70 პროცენტით უფრო მეტ გამოსხივებას შთანთქავს, ვიდრე მოზრდილის ტვინი.**

შვედი და ფინელი მეცნიერების აზრით, ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღას, ყველაზე ძლიერი უარყოფითი გავლენა აქვს **იმუნურ, ნერვულ, ენდოკრინულ და სქესობრივ სისტემებზე**. გამოკვლევებით დადგენილია, რომ სუსტ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას შეუძლია ისეთი ავადმყოფობები გამოიწვიოს, როგორებიცაა: პარკინსონისა და ალცჰეიმერის დაავადებები, ამნეზია, კიბო, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები, იმუნური და ენდოკრინული სისტემების მოშლა, ტვინის სიმსივნე, თვალის დაავადებები, იმპოტენცია და, ამასთანავე, გაზარდოს თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება. ელექტრომაგნიტური გამოსხივება განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებისა და ორსული ქალებისთვის, მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ გამოსხივება მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე და ინტელექტზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ინტერნეტ-ინფორმაციის თანახმად, **ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ 13 ქვეყნის მეცნიერთა დასკვნის საფუძველზე აღიარა ზემაღალი სიხშირეების ბიოლოგიური ზემოქმედების საფრთხე.**

ამავე დროს, კიდევ ერთი გამოკვლევა, რომელიც ჩატარდა მობილური კომუნიკაციების უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, გვიჩვენებს, რომ მობილური ტელეფონების მომხმარებელთა შორის შემჩნეულია ტვინისა და სმენის ნერვის ნევრინის ოდნავ მეტი შემთხვევები, თუმცა, ეს სხვაობა ჯერჯერობით სტატისტიკური ცდომილების ჩარჩოშია.

უახლოეს მომავალში ბრიტანეთის ხელისუფლება აპირებს კვლევების ახალი ეტაპის დაწყებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 200 ათასი მობილური ტელეფონის მომხმარებელი ბრიტანეთის, დანიის, შვეციისა და ფინეთის ტერიტორიაზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის უფრო ზუსტი მონაცემების მიღების მიზნით, დაკვირვებები ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩატარდება.

ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი ზემოქმედების წყარო არის ულტრაბგერა, რომელსაც სხეულში მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღა აღძრავს. ულტრაბგერის სიხშირე ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირის ტოლია, ხოლო ტალღის სიგრძე – ორგანიზმის უჯრედის ზომების რიგისაა. უჯრედი ამ აკუსტიკური ტალღის ზემოქმედებით რხევას იწყებს, რაც იწვევს მის დეფორმაციას. სწორედ ძლიერი დეფორმაციის შედეგად ზიანდება უჯრედი, რომელიც ან უჯრედის სიკვდილს ან მისი სიმსივნის უჯრედად გადაგვარებას იწვევს.

ექსპერიმენტები ადამიანის ორგანიზმზე მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღის ზემოქმედებისა მრავალი ათეული წელია მიმდინარეობს, მაგრამ მისი შედეგები უმეტესად გასაიდუმლოებულია. ეს კვლევები დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე რადიოლოკაციის განვითარებასთან ერთად. დახურულ კვლევებს მობილური ტელეფონების დამამზადებელი ფირმებიც ატარებენ, თუმცა, მათ მიერ გამოქვეყნებული შედეგები ხშირად დამახინჯებულია.

ამ რამდენიმე წლის წინათ იაპონელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტულად შეისწავლეს სითბოს განაწილება ადამიანის სახეზე ტელეფონით ოცწუთიანი საუბრის შემდეგ. მათი მონაცემებით, ტემპერატურის მაქსიმალური აწევა ყურის მახლობელ არეში დადგინდა და მან 0.5 გრადუსი შეადგინა. ავტორთა აზრით,

## ფიჭური კავშირის ტყვეობაში



0,5 გრადუსით ტემპერატურის გაზრდა სრულიად უხიფათო უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის და ამდენად, მობილური ტელეფონების ხმარება უხიფათოდ ჩათვალეს.

ცხადია, 0.5 გრადუსით სხეულის ან მისი ნაწილის ტემპერატურის გაზრდა სავსებით უხიფათოა, მაგრამ მთავარია მიზეზი, თუ რატომ გაიზარდა სხეულის ტემპერატურა?

მიზეზი კი მართლაც საშიშია, რადგან ის იმ აკუსტიკურ რხევებთანაა დაკავშირებული, ულტრაბგერამ რომ გამოიწვია. ეს სწორედ ის რხევებია, უჯრედების გარკვეული ნაწილის სიკვდილს რომ იწვევს.

მართალია, ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია ახალი უჯრედების წარმოქმნა, მაგრამ წარმოქმნის რესურსი შემოზღუდულია. ამიტომ ბერდება ადამიანის ორგანიზმი და სიმსივნის უჯრედებიც რომ არ წარმოიქმნას, ტვინის ნაადრევი დაბერება აუცილებლად მოხდება.

მობილური ტელეფონებით ხანგრძლივმა საუბარმა შეიძლება როგორც სმენის ნერვის, ისე თვალის ბადურის დაზიანებაც გამოიწვიოს.

განსაკუთრებით სახიფათოა მობილური ტელეფონებით ხშირი და ხანგრძლივი საუბარი ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ცხადია, მობილური ტელეფონებით სარგებლობა უაღრესად მოსახერხებელია, მაგრამ თუ თქვენი ჯანმრთელობის შენარჩუნება გსურთ, უნდა ისაუბროთ მინიმალური დროის მანძილზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალზე აუცილებელია.

ხშირად მინახავს, რომ სახლში ან დაწესებულებაში არის ჩვეულებრივი ტელეფონი და მაინც მობილური ტელეფონით საუბრობენ. მინდა ყველას ვურჩიო, რომ თუ მობილურზე დაგირეკავენ, სთხოვეთ, რომ ჩვეულებრივ ტელეფონზე გადმოგირეკონ.

მობილური ტელეფონით საუბრით გამოწვეული ხიფათი მკვეთრად იზრდება ავტომანქანით მგზავრობის დროს. ეს გამოწვეულია ავტომანქანის სალონის კედლებიდან ელექტრომაგნიტური ტალღების არეკვლისა და სალონის სივრცეში მათი ზედდების შედეგად მიღებული ტალღების ინტერფერენციის გამო. ავტომობილის სალონის გარკვეულ უბანში შეიძლება ისეთი სიმძლავრის ელექტრომაგნიტური რხევები შეიქმნას, რომელიც მრავალგზის აჭარბებს ტალღის ინტენსიობას ღია გარემოში. შესაბამისად, ულტრაბგერის ამპლიტუდა მკვეთრად შეიძლება გაიზარდოს, რამაც არა თუ ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს, არამედ თანამედროვე მანქანებში არსებული მინიკომპიუტერული სისტემაც გამოიყვანოს წყობიდან და მოულოდნელი ავარიის მიზეზიც კი გახდეს.

ტელეფონის მიერ გამოსხივებული ტალღის ინტენსივობის მკვეთრად შემცირებას ადვილად შეძლებთ, თუ გამომსხივებელ ანტენას თქვენს სხეულს მაქსიმალურად მოაცილებთ. ამისთვის ან სპეციალური ყურთსასმენები უნდა გამოიყენოთ, ან ისეთი აპარატები, რომლის ხმაც დიდი მანძილიდან შეიძლება გაიგონოთ.

მობილური ტელეფონები მართლაც ძალზე მოსახერხებელია არა მარტო თქვენთვის, არამედ სპეცსამსახურებისთვისაც თქვენი საუბრების მოსასმენად და გასაკონტროლებლად. მართალია, ის თანამედროვე ტექნოლოგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ მიღწევას სწორი გამოყენება უნდა, რათა თქვენ დიდი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიიღოთ.

ამიტომ საზოგადოების განსაკუთრებულად მკაცრი ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს ფიჭური კავშირის ანტენების დადგმა საცხოვრებელი კორპუსების მახლობლად. ამ მხრივ თბილისში საშინელი მდგომარეობაა: საცხოვრებელი კორპუსების თავზე არა მარტო მძლავრი გადამცემი ანტენები მოთავსდა, არამედ დიდი სიმძლავრის გადამცემებიც განლაგდა შენობების მაღალ სართულებზე.

სრული უპასუხისმგებლობის და მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი დანაშაულებრივი ზიანის მიყენების მაგალითია ილია ჭავჭავაძის გამზ. 16-ის საცხოვრებელი კორპუსის ზედა სართულზე 200 ვატი სიმძლავრის საბაზო სადგური „ვაკე-ავრორას“ დამონტაჟება სამი გადამცემი ანტენით. ეს დანაშაულებრივი ქმედებაა არა მარტო ამ კორპუსის, არამედ მიმდებარე კორპუსის მცხოვრებთათვისაც. მიუხედავად მოსახლეობის მრავალგზის თხოვნისა, შპს „მაგთიკომი“ უგულებელყოფს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნას, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს ჯანმრთელობისათვის უაღრესად საზიანო დანადგარის მოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ეს დანადგარი გადმოიტანეს ყოფილი „ლეჩკომბინატის“ შენობიდან მას შემდეგ, რაც ის შენობა ახალი მეპატრონის ხელში გადავიდა. ცხადია, სამკურნალო დაწესებულების შენობაში მისი დადგმა დაუშვებელი იყო, მაგრამ ასევე დაუშვებელია მისი დადგმა საცხოვრებელ ფართზე. კორპუსის მცხოვრებთა არაერთი მიმართვა „მაგთიკომმა“ უყურადღებოდ დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებთა თანხმობა საბაზო სადგურის დადგმის შესახებ გაყალბებულია. საინტერესოა, თუ ბატონი გია ჯოხთაბერიძე თვლის, რომ 200 ვატი სიმძლავრის საბაზო სადგურის არსებობა საცხოვრებელ კორპუსში სამი გადამცემი ანტენით უხიფათოა ადამიანების ჯანმრთელობისთვის, რატომ არ დადგამს ამ სადგურს თავისი ანტენებით იმ მაღლივ კორპუსში (ატენის ქუჩაზეძ, სადაც თვითონ ცხოვრობს?

**მერაბ ჯიბლაძე,**
პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი

დაუმარცხებელი

# გორში სტალინის მონუმენტი ისევ დაიდგმება



**საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გორში ისევ გააქტიურდა დისკუსია სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მონუმენტი კერძო კოლექციონერმა 17 ათას დოლარად შეიძინა. გორელების ერთმა ნაწილმა ამ ინფორმაციის გადამოწმება და ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი საკრებულოს მალე პეტიციით მიმართავს და 2010 წლის გადაწყვეტილების შესრულებას მოსთხოვს. საკრებულოს 2010 წლის 16 ივნისის დადგენილება კი სტალინის მონუმენტის ქალაქის ცენტრიდან მუზეუმის ტერიტორიაზე გადატანას ითვალისწინებდა. ეს დადგენილება ორი წელია, არ სრულდება. საინიციატივო ჯგუფს საკითხის ინიცირებისთვის ორი ათასი ხელმოწერა სჭირდება. ამ ჯგუფის წარმომადგენელი შალვა ტლაშაძე აცხადებს, რომ ხელმოწერების შეგროვება პრობლემას არ წარმოადგენს – სამ დღეში უკვე 300 ხელმოწერაა შეგროვილი.** მისი თქმით, საკრებულო ვალდებული იქნება მოსახლეობის მოთხოვნა გაითვალისწინოს და ძეგლი მუზეუმის მიმდებარე სკვერში დადგას.

სტალინის მონუმენტის დემონტაჟი ქალაქის ცენტრალური მოედნიდან 2010 წლის 25 ივნისს, ღამით მოხდა. მაშინ მოსახლეობის ნაწილმა პროტესტი გამოთქვა და ძეგლის დაბრუნება მოითხოვა.

გორელების ერთი ნაწილი ძეგლის ძველ ადგილას, ქალაქის ცენტრში დაბრუნებას ითხოვს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ძეგლის ადგილი მუზეუმის ტერიტორიაზეა. გორელი ნათია ნადირაძის აზრით, ამ ძეგლის გამოყენება მხოლოდ ტურისტული თვალსაზრისით უნდა მოხდეს.

საქართველოს პარლამენტში გორის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ ვახტანგაშვილი მიიჩნევს, რომ გორის მოსახლეობის მოთხოვნა გათვალისწინებულ უნდა იქნეს და საკრებულომ თავისივე გადაწყვეტილება უნდა აღასრულოს.

გორის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ხმალაძე ძეგლის კერძო კოლექციონერზე გაყიდვას უარყოფს და აცხადებს, რომ მონუმენტი ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ტერიტორიაზე ინახება. მისი თქმით, ამჟამად სტალინის სახლ-მუზეუმის სკვერის კეთილმოწყობა მიმდინარეობს, მომავალი წლის ბიუჯეტში კი მონუმენტის დადგმის ხარჯები იქნება გათვალისწინებული.

მიმდინარე წლის აპრილში გორში კულტურის და ძეგლთა დაცვის ყოფილი მინისტრი ნიკოლოზ რურუა იმყოფებოდა, რომელმაც განაცხადა, სტალინის მუზეუმი სტალინიზმის მუზეუმად გადაკეთდაო. ამ მიმართულებით ამ დრომდე არაფერი გაკეთებულა. გარდა ამისა, რურუამ იქვე თქვა, რომ ძეგლის დადგმა საერთოდ აღარ იგეგმებოდა. მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, გორის საკრებულო კი პირობას დებს, რომ მომავალ წელს მონუმენტს სკვერში დადგამს.

**გოგა აფციაური,**
რადიო „თავისუფლება“

**არის ასეთი კაცი!**

# თურაშაულის პატრონი...

**ამ დღეებში სამშობლოში მერაბ ჟორდანია ბრუნდებაო — იუწყებოდა ორშაბათს პოპულარული ქართული გაზეთი „ლელო“.**

**ჩვენი სპორტული პრესის ფლაგმანი ნაციონალ-ფაშისტთა ხროვის მიერ რამდენიმეგზის განკულაკებული ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავკაცის ჩამოსვლამდე მისი ერთგული თანამებრძოლის ვალერი ჩოლარიას ზოგადი კომენტარით შემოიფარგლა, რაც სავსებით გასაგებია.**

ვრცელ მსჯელობას უმადუროზით გულნატკენ ავტორიტეტიან თანამემამულესთან შეხვედრამდე არც მე ვაპირებ, უბრალოდ, აუცილებლად ჩავთვალე ორიოდ სიტყვით იმ აქტუალურ თემას შევხებოდი, რაც ქართული ფეხბურთის მომავალს უკავშირდება.

მოგეხსენებათ, ქვეყანაში განხორციელებულმა უსისხლო რევოლუციამ ძალაუნებურად მოითხოვა იმ სტერეოტიპის მსხვრევა, რასაც ცალკეული ფედერაციების სათავეში მმართველი პარტიის ლაქიის დაწინაურება ჰქვია. რადგან ამ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციაზე ვსაუბრობთ, პირდაპირ მოვჭრი: თუ ამიერიდან უპირატესობა პროფესიონალებს უნდა მივანიჭოთ, თურაშაულის პატრონნი ნუ დავიწყებთ პანტის ტყეში ძებნას და ფიფა-უეფაში მილებულ კაცს, მიშელ პლატინის ძველ მეგობარს მერაბ ჟორდანიას კიდევ ერთხელ გამოვუცხადოთ ნდობა!



ამ წინადადებას, რასაკვირველია, იდეის დონეზე ვაჟღერებ ისე, რომ არც ვიცი, დატოვებს კი იგი ჰოლანდიის პროვინციულ კლუბ „ვიტესში“ საათივით აწყობილ საქმეს?

თუმცა, ცოტაც მოვითმინოთ და პასუხს არამარტო აღნიშნულ კითხვაზე პირველ პირში მოვისმენთ.

**გია პლატონიშვილი**

**ფეხბურთი**

# ეს უკვე აღარ არის სენსაცია

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის I წრეში იმდენი მოულოდნელობა მოხდა, რომ ყველაფერმა ტენდენციის სახე მიიღო და ძნელიცაა მოვლენათა განვითარებას სენსაციური ვუწოდოთ. გამონაკლისს არც III ტური წარმოადგენდა, რაშიც შედეგები დაგარწმუნებთ.**



რაც შეეხება მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველ ლეგიონერს ჯანო ანანიძეს, იგი რუსეთის „სახალხო კლუბის“ ძირითად შემადგენლობაში დააყენა უნაი ემერიმ და ჩვენმა თანამემამულემაც ღირსეული წვლილი შეიტანა პარტნიორთა უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაში.

**„ე“ ჯგუფი.** „შახტარი“ — „ჩელსი“ 2:1, „ნორდსიელანდი“ — „იუვენტუსი“ 1:1.

„შახტარი“ — 7, „ჩელსი“ — 4, „იუვენტუსი“ — 3, „ნორდსიელანდი“ — 1 ქულა.

**7 ნოემბერს ითამაშებენ:** „ჩელსი“ — „შახტარი“, „იუვენტუსი“ — „ნორდსიელანდი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „ლილი“ — „ბაიერნი“ 0:1, ბატე — „ვალენსია“ 0:3.

„ვალენსია“, „ბატე“, „ბაიერნი“ — 6-6, „ლილი“ — 0 ქულა.

**7 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბაიერნი“ — „ლილი“, „ვალენსია“ — ბატე.

**„ზ“ ჯგუფი.** „სპარტაკი“ — „ბენფიკა“ 2:1, „ბარსელონა“ — „სელტიკი“ 2:1.

„ბარსელონა“ — 9, „სელტიკი“ — 4, „სპარტაკი“ — 3, „ბენფიკა“ — 1 ქულა.

**7 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბენფიკა“ — „სპარტაკი“, „სელტიკი“ — „ბარსელონა“.

**„თ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ — „ბრაგა“ 3:2, „გალათასარაი“ — „კლუჟი“ 1:1.

„მანჩესტერი“ — 9, „კლუჟი“ — 4, „ბრაგა“ — 3, „გალათასარაი“ — 1 ქულა.

**7 ნოემბერს ითამაშებენ:** „ბრაგა“ — „მანჩესტერი“, „კლუჟი“ — „გალათასარაი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ინფორმაცია თემაში**

## მერაბ ჟორდანიას განცხადება თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებით

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს ყოფილმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კლუბის ყოფილ მფლობელებთან შეხვედრა გამართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟორდანიას განცხადება გუშინ უნდა გაეკეთებინა და ასეც მოხდა. მერაბ ჟორდანიას განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**„თბილისის „დინამოს“ ყოფილ და ამჟამინდელ მესვეურებს.**

**ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის განცხადება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ, კერძოდ, ქონებრივი დავებით დაინტერესებულ პირთა უშუალო მოლაპარაკების გზით გადაჭრისაკენ მოწოდება, დროული და მეტად მნიშვნელოვანია.**

**ამ შემთხვევაში საუბარია ქართული ფეხბურთის ფლაგმანის, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ საკუთრების უფლებაზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კლუბის პირველი მფლობელებისადმი დაბრუნების საკითხი არ არის ახალი და დღეს არ წამოჭრილა, როგორც ეს შეიძლება მავანთ ეგონოთ.**

**საკითხი აქტუალურია 2001 წლიდან, სწორედ იმ მომენტიდან, როცა კლუბის მენეჯმენტს ძალისმიერი ფორმით მართვის უფლება ჩამოართვეს!**

**მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ საფეხბურთო სადავო საკითხებს, რა სირთულისაც არ უნდა იყოს ის, უნდა აგვარებდეს ისევ საფეხბურთო ოჯახი, კომპეტენტური ორგანოების დახმარებით.**

**სწორედ ამიტომაც მოვუწოდებ კლუბის ყოფილ და ამჟამინდელ მფლობელებს, შეხვდნენ ერთმანეთს მოლაპარაკების მაგიდასთან და საქმიან, სამართლიან და ურთიერთპატივსაცემ გარემოში გაარკვიონ კლუბის კანონიერი მფლობელის ვინაობა.**

**თავისთავად, მოლაპარაკების არასასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში მხარეები უფლებას იტოვებენ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკითხი სასამართლო დავის საგანი გახდეს“.**

**მძლეოსნობა**

# ბაქოდან — 15 მედლით



**1997-1999 წლებში დაბადებულმა ქართველმა მძლეოსნებმა, რომლებიც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან, გასულ უქმეებზე აზერბაიჯანის ღია პირველობაში იასპარეზეს.** შეჯიბრება დახურულ დარბაზში გაიმართა. ექვს სახეობაში თანატოლებთან პაექრობისას ჩვენებურებმა 8 ოქროს, 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით ისახელა თავი **ზაურ ებრალიძემ,** რომელმაც 600 მეტრზე რბენაში (1.39,40წ პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო 200 მეტრზე (26,68წ მეორე იყო. ებრალიძის მსგავსად, სამშობლოში ოქროს მედლებით დაბრუნდნენ: **თეონა მაჭარაშვილი** (60 მ, 8,07წ, **მარიამ ჩაკაბერია** (200 მ, 27,43წ, **ლიდია ბერძენიშვილი** (600 მ, 1.48,97წ, **ქრისტინა ზოლოტუხინა** (სიმაღლეზე ხტომა, 1,45წ, **მარი ძაგნიძე** (სიგრძეზე ხტომა, 4,85წ, **დავით ქედია** (200 მ, 25,71წ, **გიორგი მუჯარიძე** (ბირთვის კვრა, 14,35წ. ვერცხლის მედლები მოიპოვეს **მაკა სანიკიძემ** (600 მ, 1.49,76წ, **სალომე ფოცხვერაშვილმა** (სიგრძეზე ხტომა, 4,52წ, **მარი მწითურმა** (სიმაღლეზე ხტომა, 1,35წ და **ნიკა ყაზარაშვილმა** (სიგრძეზე ხტომა, 5,30წ, ხოლო **თამარ მახარაძე** (სიგრძეზე ხტომა, 4,26წ და **სანდრო ღამბაშიძე** (600 მ, 1.41,10წ მესამე ადგილებს დასჯერდნენ. **დავით ლუკავამ** სიგრძეზე ხტომაში (5,25წ მე-4 ადგილი დაიკავა.

**ლაშა დიდია**

**ჯანსაღი ცხოვრების წესი**

# სამგზის!

**სტუდენტური სპორტის მექაში — დედაქალაქის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დასრულდა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის შიდა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა.**

ვერ გეტყვით, სხვანი მიბაძავენ თუ არა მომავალ ექიმებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — მედიკოსთა ტურნირში ცალ-ცალკე ცდიდა ძალებს ინდოელთა და თურქთა სამ-სამი, აგრეთვე ნიგერიელთა ერთი ნაკრები.

ჯგუფური სისტემით გამართული ასპარეზობის გამარჯვებული ზედიზედ მესამედ გახდა „რეაბილიტაცია“, რომელმაც ფინალში „რეალი“ დაჯაბნა — 5:0. მესამე საპრიზო ადგილი ფიზ-მედ რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველკურსელთა გუნდმა „თბილისი სითიმ“ დაიკავა, რომლის გამორჩეული წევრიც — მირიან ჯიქია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნაკრებში მიიწვიეს.

ტრადიციისამებრ, გამოვლინდნენ ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშეები: **მეკარე** — გიორგი ლოლუა, **მცველი** — ზვიად ბლიაძე, **ბომბარდირი** — გიორგი პაიჭაძე (17 გოლი), **თავდამსხმელი** — მირიან ჯიქია, **ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი** — ცოტნე ნანიტაშვილი.



საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში გაწეული დახმარებისთვის მადლიერებას იმსახურებენ თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ჭინჭარაული, თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ზაურ ფხალაძე და ამავე ცენტრის თანამშრომელი, თსსუ-ის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე.

დავძენთ, რომ ამ დღეებში მიმდინარეობს თსსუ-ის პირველკურსელთა და უცხოენოვანი ფაკულტეტების სტუდენტთა ტურნირი, რომელთა შედეგებსაც მალევე გაუწყებთ.

**გიორგი შოთაძე**

ძალადობა

# მაჭავარიანს დაჰკითხავენ, ჭუტა წერეთელი, შესაძლოა, დააპატიმრონ

**ჩეხეთში მყოფი ბიზნესმენი მინდია ქაშიბაძე აცხადებს, რომ მას მაღალი თანამდებობის პირები ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე თანხების გადარიცხვას აიძულებდნენ.**

ბიზნესმენი, რომელიც ჩეხეთის „პანკრაციის" ციხეში იხდიდა სასჯელს, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე ერთი თვეა, თავისუფალია, თუმცა საქართველოში თავისი სიმართლის ძებნას არ წყვეტს და დღეს მისი ადვოკატი საქართველოს პროკურატურაში სარჩელს შეიტანს.

„კომპანია „მაქსტოპი" 2002 წელს დავაფუძნე. დროთა განმავლობაში ის გაძლიერდა და შეიქმნა კიდევ ერთი კომპანია, რომელშიც აზერბაიჯანული ინვესტიცია ჩაიდო. მოგვიანებით განხორციელდა რეორგანიზაცია და პარტნიორთა რიგებში ავთანდილ წერეთელი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი თემურ გიორგაძე შემოვიდნენ.

2005 წლიდან საფინანსო ინსტიტუტებიდან დაიწყო შემოტევები და მაიძულებდნენ თანხა „ნაციონალური მოძრაობის" ანგარიშზე გადამერიცხა, რაზეც უარი განვაცხადე. ამის შემდეგ დაიწყო ზეწოლა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური.

წერეთლის კაბინეტში ჩემთვის უცნობმა პირებმა მაწამეს და მაიძულებდნენ გადამეხადა 650 000 დოლარი, რომელიც თითქოსდა წერეთლისგან ვისესხე წლების წინათ. რეალურად კი წარმოდგენა არ მაქვს საიდან გაჩნდა ეს ვალი.

ამ თანხის თაობაზე ასევე შევხვდი გია დგებუაძეს, რომელიც დამემუქრა ფიზიკური განადგურებით. ჩემი ინფორმაციით, ავთო წერეთელი ახლო კავშირში იმყოფებოდა მიხეილ მაჭავარიანთან და ჩემი წილებისა და ბიზნესის წართმევაზე სწორედ ეს დანაშაულებრივი ჯგუფი მოქმედებდა", – განაცხადა მინდია ქაშიბაძემ.

ქაშიბაძის ადვოკატი ამბობს, რომ კონფლიქტი მაშინ დაიწყო, რაც ქართველმა ჩინოვნიკებმა, საბიუჯეტო შენატანების გარდა დამატებით 100 000 ლარის გადახდა მოსთხოვეს, თანხა ნაცმოძრაობის ანგარიშზე უნდა გადარიცხულიყო. ქაშიბაძემ მაშინ ეს თანხა არ გადაიხადა.

ბიზნესმენი ამბობს, რომ ავთო წერეთლის ვალთან დაკავშირებით მასზე ზეწოლის პროცესი 2008 წლიდან დაიწყო. ის იმყოფებოდა მივლინებით ოსლოში, სადაც შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ საქართველოში 650 000-ის გადაუხდელობის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

ჩეხეთში ქაშიბაძე ქართველი სამართალდამცველების მოთხოვნით დააკავეს, თუმცა, ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას თქმით, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს ექსტრადირებაზე უარი განუცხადა, რადგან მიიჩნია, რომ ქაშიბაძეს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

როგორც ყოფილი ომბუდსმენი სოზარ სუბარი ამბობს, ქაშიბაძეს რომ ქართულ ციხეში საფრთხე ელოდა, ამაში ჩეხი სამართალდამცველები სწორედ მან დაარწმუნა.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, ის ამ დროისთვის მის მიერვე დაფუძნებულ კომპანიაში წილს აღარ ფლობს და ჩამორთმევა მისი ყოველგვარი ნებართვის და თანხმობის გარეშე მოხდა.

ქაშიბაძის ადვოკატი კი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს საკუთარი ბრალდებების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია და ვიდეო-აუდიო ჩანაწერები აქვს, რომელსაც პროკურატურას





მიაწვდის და ჩამოთვლილ პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრას მოითხოვს.

როგორც ბიზნესმენმა პრესკონფერენციაზე ჩართვის დროს აღნიშნა, მისთვის ქონების წართმევით დაინტერესებული არიან: პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი **მიხეილ მაჭავარიანი,** სოდ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და ერეკლე კოდუას ახლო მეგობარი **გია დგებუაძე,** მეტსახელად „მასტერა", ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი **ირაკლი კირკიტაძე,** რომელიც ქვემო ქართლის გუბერნატორის დავით კირკიტაძის ძმაა და ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი **ლევან ფხალაძე.**

როგორც ცნობილია, ამ ჯგუფს სათავეში ედგა სააკაშვილის კარის ბიზნესმენი ჭუტა წერეთელი, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიგეგმა და განხორციელდა ბიზნესის ჩამორთმევის ოპერაციები და ქაშიბაძის დევნა.

დიმიტრი გაბუნია ამბობს, ქაშიბაძეს ის მტკიცებულებები, რაც გააჩნია, რომ არ წარედგინა ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ევროკავშირის წევრი ქვეყანა ექსტრადირებაზე უარს არ ეტყოდაო.

დიმიტრი გაბუნია: „მე არ შემიძლია ქაშიბაძის ნაცვლად ვილაპარაკო, მაგრამ მიხეილ მაჭავარიანმა თავის კომენტარში განაცხადა, რომ ის იცნობს ავთო წერეთელს, იცნობს თემურ გიორგაძეს და თუ ბატონ მინდიას დასჭირდება, მზად ვარ დავეხმაროო. საკმაოდ საინტერესოა და საყურადღებო, როდესაც პოლიტიკოსი ასეთ განცხადებას აკეთებს. ქაშიბაძეს საკუთარი სიმართლე დაეხმარება. ჩვენ არ გვჭირდება მიხეილ მაჭავარიანის დახმარება, ყველაფერს გამოძიება გაარკვევს, მაჭავარიანს კი სამართალდამცველი ორგანოები დაიბარებენ და დაკითხავენ."

არის თუ არა მიხეილ მაჭავარიანის ბრალეულობის დამადასტურებელი ფაქტები ქაშიბაძის მტკიცებულებებში, ამაზე საუბრისგან დიმიტრი გაბუნია თავს იკავებს და როგორც ის აცხადებს, უფრო კონკრეტულად საუბარი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეუძლია, თუმცა როგორც ის ამბობს, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჰაერზე არ ითქვა.

ახლა კი მოკლედ იმის შესახებ, თუ რატომ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ქაშიბაძის ბიზნესი ქართველი ჩინოვნიკებისთვის საინტერესო.

მსოფლიოში მიკროპროცესორებისა და სხვა კომპიუტერული ტექნოლოგიების მწარმოებელი უმსხვილესი კორპორაცია Intel-მა საქართველოში საქმიანობა კომპიუტერული კომპანია „მაქსტოპ პირველის" პარტნიორობით გააფართოვა და სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგად, საქართველოში პირველი ქართული ნოუთბუქების წარმოება დაიწყო.

კომპანია „მაქსტოპი" 2002 წელს დაარსდა. ის ორიენტირებულია როგორც სხვადასხვა ტექნიკის გაყიდვაზე, ასევე შემოტანილი მაკომპლექტებლებით კომპიუტერების აწყობაზე და დასრულებული ტექნიკურ-პროგრამული სისტემების შექმნასა და დაყენებაზე.

Intel-ისა და „მაქსტოპის" პირველი ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია 2004 წლის 17 ოქტომბერს შედგა, მაშინ „მაქსტოპმა" Intel-ის ტექნოლოგიების ბაზაზე ქართული სავაჭრო ნიშნით პირველი ნოუთბუქების წარმოება დაიწყო.

2005 წლის დასაწყისში „მაქსტოპმა" Intel Premier Provider-ის სტატუსი მიიღო, რამაც კომპანიას ბევრი სხვა სიკეთის გარდა სხვადასხვა ფირმებთან ურთიერთობისთვის გზა გაუხსნა. „მაქსტოპმა" Intel-ის ბაზაზე საკუთარი ბრენდით სერვერების გამოშვებაც დაიწყო.

„მაქსტოპის" გაყიდვები ყოველწლიურად იზრდებოდა, იგი ისეთ მსხვილ კომპანიებსაც აწვდის კომპიუტერებს, როგორიცაა „თიბისი ბანკი". აქვს მაღაზიათა ქსელი თბილისსა და რეგიონებში. როგორც ჩანს, სწორედ კომპანიის წარმატებული საქმიანობა გახდა მისი ერთ-ერთი მფლობელის ტრაგედიის მიზეზი. დანარჩენს კი ალბათ, გამოძიება დაადგენს და გამორიცხული არ არის, კრიმინალური ქმედებების გამო, ამ საქმის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი და წამქეზებელი ბიზნესმენი ავთო (ჭუტა) წერეთელიც დააპატიმრონ.

**მარიამ თოდაძე**

მემკვიდრეობა

# ლაზური კულტურის საზოგადოებამ ქართველი მეცნიერის წიგნი გამოაქვეყნა

**არნ. ჩიქობავა, ჭანური (ლაზური) ტექსტები. I, სტამბოლი, 2012, 358 გვ.**




**ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რაც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის დამაარსებელს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიუძღვის თეორიული ენათმეცნიერების, ქართულ-ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში (არა მხოლოდ საქართველოსათვის).** მისი დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა თავს იყრის შრომათა 12 ტომში, რომელთა გამოცემასაც ენათმეცნიერების ინსტიტუტი შეუდგა 2008 წელს; უკვე დაიბეჭდა პირველი ხუთი ტომი, მთავრდება VI და VII ტომების გამოსაცემად მომზადება. ამ მრავალტომეულის III და IV ტომები მეგრულ-ლაზურ (სხვა ტერმინებით – ზანურ, კოლხურ) ენას ეძღვნება. III ტომში შევიდა მეცნიერის კლასიკური მონოგრაფიული ნაშრომი „ჭანურის გრამატიკული ანალიზი" და რამდენიმე სტატია მეგრულ-ლაზურის შესახებ. ამავე ტომში გამოქვეყნდა ლაზური (ჭანური) ტექსტები, რომლებიც ჩაწერილია 1926-28 წლებში აჭარის სოფლებში – სარფში, თხირნალსა და მახოში, აფხაზეთის სოფლებში – შაწაკვარაში, ფაჩანთასა და ფშალთილულში, სადაც მაშინ, სხვებთან ერთად, ლაზებიც ცხოვრობდნენ. III ტომში გამოქვეყნებული ტექსტები ლაზურის ყველა კილოკავს მოიცავს – ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს.

ახლახან ლაზური კულტურის საზოგადოებამ ქალაქ სტამბოლში გამოაქვეყნა არნ. ჩიქობავას ლაზური (ჭანური) ტექსტების I ნაწილი, რომელიც პირველად 1929 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილებით, ხოლო მეორედ 2008 წელს – მეცნიერის შრომათა ზემოხსენებულ III ტომში. სტამბოლში დაბეჭდილი წიგნის გამოცემა, რომელიც ემყარება არნ. ჩიქობავას ტექსტების მეორე პუბლიკაციას, შესაძლებელი გახდა ქართველ მეცნიერთა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა (კერძოდ – ლაზების) თანამშრომლობის შედეგად. წიგნში შევიდა ხოფური კილოკავის მასალა (ძირითადად ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისა), რომელიც ჩვეული სიზუსტით ჩაუწერია არნ. ჩიქობავას.

წიგნის ანოტაციაში ლაზური საზოგადოება მადლობას უხდის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს და იმ ლაზ მოღვაწეთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წიგნის მომზადებასა და ბეჭდვაში. წინასიტყვაობაში საუბარია არნ. ჩიქობავას დამსახურებაზე ლაზური მეტყველების შესწავლის საქმეში.

საყურადღებოა, რომ ლაზური ტექსტები გამოქვეყნებულია პარალელურად ქართული ანბანითა და ლათინურ გრაფიკაზე დამყარებული თურქული ანბანის გამოყენებით (ბუნებრივია, გათვალისწინებულია ლაზურის ბგერითი სისტემის სპეციფიკა და დამატებულია სათანადო გრაფიკული ნიშნები).

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ გამოცემამ ლაზების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ცალკე უნდა აღინიშნოს ლაზური კულტურის საზოგადოების წევრის, ლაზური სოფლის არდაშენის მკვიდრის ირფან ალექსივას დამსახურება, რომელიც იყო ამ გამოცემის ინიციატორი და ორგანიზატორი.

გამოცემა მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ლაზური კულტურის საზოგადოება აპირებს გამოსცეს არნ. ჩიქობავას ლაზური ტექსტების II ნაწილი, რომელშიც შევა ლაზურის ორი კილოკავის (ვიწურ-არქაბულისა და ათინურის) ტექსტები.

**ვაჟა შენგელია,**
**პროფესორი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.**

ინფორმაცია

# საქართველოს რკინიგზა ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას

**ამ დროისთვის საქართველოს რკინიგზა ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას როგორც სამგზავრო გადაყვანების, აგრეთვე სატვირთო გადაზიდვების მხრივ. ამის შესახებ „საქართველოს რკინიგზის" განცხადებაშია ნათქვამი. „საქართველოს რკინიგზის" თანამშრომლებმა გუშინ ორსაათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყვეს.**

**პროფკავშირების ხელმძღვანელი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ გარკვეული შემოთავაზებები არის რკინიგზის ხელმძღვანელობის მხრიდან, თუმცა ეს შემოთავაზებები რკინიგზელებისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის.**

**რკინიგზელები ხელფასების მომატებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, პროფკავშირული აქტიურობის გამო დასჯილი თანამშრომლების უფლებების აღდგენას და ზეგანაკვეთური ანაზღაურების და საპრემიო სისტემების სამართლიან ჩარჩოებში მოქცევას ითხოვენ.**

**როგორც შეხვედრის შემდეგ რკინიგზელთა პროფკავშირების წარმომადგენლები აცხადებდნენ, შეხვედრაზე ხელფასების დაახლოებით 11-პროცენტიან მომატებაზე იყო საუბარი, თუმცა ეს რკინიგზელებისთვის მიუღებელია.**



**მეუღლე გივი ეფრემიძე, შვილები მარიკა, პაატა ეფრემიძეები, ძმები ბახვა, ილია, ბიჭიკო, და როზა ფანცხავები ოჯახებით, სიძე დათო ხოფერია, რძალი ეკატერინე მერმანიშვილი, შვილიშვილები პაატა, გიგი ხოფერიები, გივიკო ეფრემიძე, მძახლები, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**მაყვალა**
**კონსტანტინეს ასული**
**ფანცხავა-ეფრემიძე**

**დაკრძალვა 25 X, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოზე. გამოსვენება წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან (ველოტრეკის მიმდებარე ტერიტორია).**

## დაიჯესტი

### „ჯოკონდას" ნეშტი



**იტალიელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მონა ლიზას საფლავს მიაგნეს.**

ქალის ნეშტს, რომელიც გენიალური ლეონადრო და ვინჩის საქვეყნოდ ცნობილი ფერწერული პორტრეტის „ჯოკონდას" სავარაუდო მოდელი იყო, ფლორენციაში მიაგნეს. სპეციალისტები საგანგებო დნკ-ანალიზის ჩატარებას ვარაუდობენ და ამ ქალბატონის გარეგნობის იერის აღდგენას გეგმავენ, რომელმაც, შესაძლოა, მისი იდუმალი ღიმილის საიდუმლოს ფარდა ახადოს.

### მითხარი ვინაა შენი მამა და...

**თურმე მამის პროფესია მომავალი ბავშვის ჯანმრთელობაზე მოქმედებს — ეს დასკვნა ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოიტანეს.**



თანდაყოლილი დეფექტით დაბადებულ ბავშვთა სტატისტიკური ანალიზის ჩატარებისას გაირკვა, რომ პრობლემიანი პატარები უფრო ხშირად ფიზიკოსი, პროგრამისტი, ასევე მხატვარი და ფოტოგრაფი მამებისგან იბადებიან.

### ლამაზები, ალერსიანები, თან უფრო ჭკვიანებიც?

**ბოლო 100 წლის მანძილზე ქალები... კაცებზე ჭკვიანები გახდნენ, რა დროსაც სუსტი სქესის ინტელექტის კოეფიციენტმა (iQ) ძლიერისას გაუსწრო.**

ამის თაობაზე ახალი ზელანდიის ოტაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს ფლინმა განაცხადა, რომელიც ინტელექტის ცნობილი მკვლევარი, ასევე მრავალი წიგნის ავტორია. მეცნიერმა ინტელექტის კოეფიციენტის დადგენის უამრავი ტესტი გააანალიზა და დაადგინა, რომ ამ „შეჯიბრს" ძლიერი სქესის წარმომადგენლებს აგებენ, რაც ბოლო 100 წლის მანძილზე პირველად მოხდა. ჩამორჩენა კი, საშუალოდ, 5 ქულას შეადგენს.



რაშია საქმე, კაცები „გამოჩერჩეტდნენ", თუ ქალბატონები ერთბაშად „გაგენიოსდნენ"? ვარაუდობენ, რომ ბოლო დროს კაცობრიობა მთლიანობაში ინტელექტუალურად საგრძნობლად განვითარდა, მაგრამ ქალების ინტელექტმა, რაღაც იდუმალ გარემოებათა გამო, უფრო სწრაფი პროგრესი განიცადა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, თავი იჩინა კიდეც.

მეორე ჰიპოთეზით, ქალთა ინტელექტის სწრაფი განვითარება მხოლოდ ბოლო წლებში მოხდა, რის მიზეზი ისაა, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ ოჯახის მოვლა და კარიერა შეეთავსებინათ.

მეცნიერები გვაფრთხილებენ: თუკი ქალების გონებრივი უპირატესობა მამაკაცებთან შედარებით კვლავაც მოიმატებს, მაშინ სუსტი სქესი ცხოვრების გზაზე მის რეალიზებას გაცილებით აქტიურად დაიწყებს. სხვათა შორის, ეს ტენდენცია უკვე დიდი ხანია საკმაოდ შესამჩნევია. ამიტომაც, ერთ მშვენიერ დღეს კაცობრიობას, შესაძლოა, ისევ მატრიარქატის ხანა დაუდგეს. თუმცა კარგი იქნება ეს თუ ცუდი, მეცნიერებას ამის დადგენა ჯერჯერობით არ შეუძლია.

### „ტკბილი" სიკვდილი

**მეორე მსოფლიო ომში დამარცხებამდე ორი წლით ადრე გერმანელები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილს აფეთქებას... შოკოლადის ფილით აპირებდნენ!**



გერმანელმა სპეციალისტებმა მინი-ბომბი ფოლადის ფირფიტიდან დაამზადეს, მერე ის ნამდვილი შოკოლადის თხელი ფენით დაფარეს და ელიტური ფილის „პიტერს შოკოლადის" შეფუთვით შენიღბეს. დაზვერვის აგენტებს ნუგბარი იმ სასადილოში უნდა შეეტანათ, სადაც სერ უინსტონი და ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელობა სადილობდა. შოკოლადის ფილიდან ნატეხის მოტეხვის შემთხვევაში ბომბი აფეთქდებოდა და ოთახში ყველა მყოფს დახოცავდა.

მაგრამ ჰიტლერის ეს გეგმა ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ HI-5-ის თანამშრომლებმა ჩაშალეს. მის მაშინდელ შეფს ლორდ ვიქტორ როტშილდს მიაჩნდა, რომ მსგავსი „ტკბილეულის" გამოყენება გერმანელებს რიგითი ბრიტანელების წინააღმდეგაც შეეძლოთ. ამიტომ 1943 წლის 14 მაისს საიდუმლო წერილით მან თავის თანამშრომელ მხატვარ ლორენს ფიშს საგანგებო პლაკატის დახატვა დაავალა, რომელიც ხალხს ვერაგული ჩანაფიქრის შესახებ გააფრთხილებდა.

სწორედ ამ წერილს მიაგნო ცოტა ხნის წინათ მხატვრის ქვრივმა ჯინ ბრეიმ, რომელმაც ეს აქამდე უცნობი ფაქტი გაახმაურა.

### „სამშობლოდან" - ოფშორებში



**„მაკკინს ენდ კომპანის" სპეციალისტებმა დათვალეს, თუ რა ოდენობის კაპიტალები გაედინა სხვადასხვა ქვეყნიდან ოფშორულ ზონებში ბოლო წლების მანძილზე.**

კომპანიის მთავარი ეკონომისტის ჯეიმს ჰენრის განცხადებით, ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყნიდან კაპიტალის გაზიდვის აბსოლუტური ლიდერია რუსეთი, საიდანაც ოფშორებში 800 მილიარდი დოლარი გადაიქაჩა. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ჩინეთიდან მართალია მეტი ფული — ტრილიონ 189 მილიარდი დოლარი გაიტანეს, ოღონდ საამისოდ 40 წელი დასჭირდათ.

რეკორდსმენთა შორის ამ მხრივ არიან ასევე ბრაზილია, საიდანაც გავიდა ორ ათეულ წელიწადში 520 მილიარდი დოლარი და ქუვეიტი (469 მილიარდი დოლარი).

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### მიმართვა ბატონ გურამ ოდიშარიას

„დღეს ქართული მწერლობა, მუსიკა, კინო, თეატრი, მხატვრობა ელოდება განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვინ იქნებიან მინისტრის მოადგილეები. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა მუსიკოსი, პუბლიცისტი და ხელოვნებათმცოდნე თამარ ჩარკვიანი, რომელსაც მენეჯერული და საპროდიუსერო საქმიანობის კარგი გამოცდილება აქვს".

ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ ჭილაძე, გიგა ლორთქიფანიძე, მერაბ ბერძენიშვილი, თენგიზ ამირეჯიბი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე, ანზორ ერქომაიშვილი, გურამ საღარაძე, ჯემალ ჭკუასელი, ლია სტურუა, თემო გოცაძე, მარინე ჯანაშია, მარიკა კვალიაშვილი, ნუნუ გაბუნია, რუსუდან სებისკვერაძე, გოგი ჭიჭინაძე.

„ყველა სიახლე"

### დაუბრუნებენ ასლან აბაშიძეს ჩამორთმეულ ქონებას?

— აი, რას ამბობს ამის შესახებ ასლან აბაშიძის ყოფილი ადვოკატი, ახალარჩეული პარლამენტის წევრი შალვა შავგულიძე. „ასლან აბაშიძეს ახალი მოთხოვნა ქონების დაბრუნების თაობაზე არ წაუყენებია, თუმცა 2005 წელს შეიტანა სარჩელი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სტრასბურგის სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო და ახლა განხილვას ელოდება. აღსანიშნავია, რომ ქონების მითვისებაში ბრალი წარდგენილი არ არის, ბრალდება არის სუსტი და ვფიქრობ, ასლან აბაშიძე ამ საქმეს მოიგებს.

„ყველა სიახლე"

### 10 თვის ჩვილის მკვლელობას ღარიბაშვილი პირად კონტროლზე აიყვანს

კუდი და სოდი უქმდება. ეს განცხადება უკვე გააკეთა მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა. ღარიბაშვილმა ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრა. კერძოდ ითქვა, რომ 30 სექტემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში 10 თვის ჩვილის მკვლელობის საქმის გამოძიების საკითხს პირად კონტროლზე აიყვანს.

„ახალი თაობა"

### ციხეებში სიტუაცია გამოსწორდა, აცხადებენ უფლებადამცველები

„პატიმრები ბევრად თავისუფალ რეჟიმში არიან. არ არიან იმ წნეხის ქვეშ, რაშიც ადრე იმყოფებოდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ ისეთი თავისუფლება იყოს, რაც სიტუაციას არევს. კანონით დადგენილი ყველა წესი უნდა იქნეს დაცული როგორც პატიმრის, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან" — აცხადებს საზოგადოებრივი დამცველი ირინა ფუტკარაძე.

„რეზონანსი"

### „მიხეილ სააკაშვილი ვადამდე ადრე არ გადადგება, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობას" დატოვებს"

— მიაჩნია „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ დამფუძნებელს და ახლა ბიზნესსექტორში მოღვაწე ბესო ჯუღელს, — სააკაშვილის გარდა სხვადასხვა დანაშაულობებში ხელისუფლებაში მყოფი ბევრი პირი იყო გარეული და ყველამ თავისი ცოდვა უნდა გამოისყიდოს. სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირია და საზოგადოება თუ იმპიჩმენტს გამოუტანს, საზოგადოებისავე გადასაწყვეტია.

„საერთო გაზეთი"

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— ექიმო, რა მჭირს? ყოველ დილით, როგორც კი სარკეში ჩავიხედავ, გულის რევის შეგრძნება მეუფლება.

— არ ვიცი, ჩემო კარგო... მაგრამ მხედველობა, ვგონებ, კარგი გაქვთ.

* * *



— აბა, როგორ გრძნობ თავს გათხოვილი?

— საკმაოდ კარგად. ოღონდ მგონია, რომ ჩემი ქმარი უფრო წარმატებულად დაქორწინდა, ვიდრე მე გავთხოვდი?

* * *

ჩემი ქმარი ისე ძალიან იღლება სამსახურში, რომ ვერც ხელ-ფეხს გრძნობს და ვერც რქებს.

* * *

ძალიან ბევრი დრო მაქვს გატარებული გაჩერებებზე და ვიცი, რასაც ნიშნავს ლოდინი.

* * *

თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, ესე იგი, ებრაელებმა უფრო მეტი გადაუხადეს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24